

9 772298 095006

საზოგადოებრივ-ცოცხალური ჯარადი

ქართული
გზისკენ

ფასი 3 ლარი

პერიდი

1134
2021



ნიუ ვიჯან
უნივერსიტეტი

2021

3 (295)

უილიამ ბრაუორი

მოთხოვნა - თვალის
მოკვრის ხელოვნება



In Memoriam	1	გიორგი ბერიძე დიდი არაფერი ნეკროლოგი
პერსონა	2	„მოთხრობა თვალის მოკვრის ხელოვნება“ ინტერვიუ უილიამ ტრევიორთან ინგლისურიდან თარგმნა ლიზი ძაგნიძემ
	9	ჯულიან ბარნსი მცირე ფორმის ოსტატი ინგლისურიდან თარგმნა გუგა მგელაძემ
	13	ლექსო დორეული უილიამ ტრევიორი - ჩაასწორე სინამდვილე სინამდვილით
პოეზია	15	რეზო გეთიაშვილი
თარგმანი	19	ფრიდრიხ ნიცშე დიონისეს დითირამები გერმანულიდან თარგმნა და შესავალი დაურთო დათო ბარბაქაძემ
	29	ნიკოლა დე შამფორი მაქსიმები და ფიქრები, ხასიათები და ანექდოტები ფრანგულიდან თარგმნა ნიკოლოზ აგლაძემ
ესე	33	ანაბელ გახოკიძე მოლოი. დედა. თავშესაფარი.
რეცენზია	38	ნიკოლოზ ალექსიძე შაშვი შაშვი მაყვალი - ტაბუს, ზღვრის და თავისუფლების ამბავი
დიალოგი	41	ბესო სოლომანაშვილი: "კინოში ლიტერატურის შეჭრას მოაქვს არასასურველი შედეგები კინოსთვის" ეხაუბრა ნანა ტრაპაიძე

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის შენევერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მდღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულუსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დისტანციური სინამდვილა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მხარე

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge

ვებგვერდი: arilimag.ge

 AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან


© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ნიუ ვიკან
ნიუ ვიკანისთვის

ჟურნალი გამოიცემა
ნიუ ვიკან უნივერსიტეტის
მხარდაჭერით

„მოთხრობა თვალის მოკვრის ხელოვნებაა“ - ინტერვიუ უილიამ ტრევერთან

ინგლისურიდან თარგმნა ლიზი ძაგნიძე



უილიამ ტრევერს პირველი პოპულარობა რიგით მკითხველს რომანმა *The Old Boys* (1964) მოუტანა. მიუხედავად ამისა, ტრევერი უფრო ფართოდ ცნობილია მოთხრობის ჟანრითა და იმ არაერთი შესანიშნავი კრებულით, რომლებიც სწორედ ამ მიმართულებით გამოცა, მათ შორის *The Day We Got Drunk on Cake* (1968), *Angel at the Ritz and Other Stories* (1976), *News from Ireland* (1986) და სხვ. რომელთათვისაც ასევე არაერთი პრესტიჟული ლიტერატურული პრიზი აქვს მიღებული.

ტრევერი თებერვლის ერთ დილას ექსტერში, გრილ და წვიმიან რკინიგზის სადგურთან დაბნედა. ბაქანზე საოცარი ფიგურა მოჩანდა, რომელსაც შალის პალტო და სანადირო ქუდი ერთმანეთისთვის შეეხამებინა და მოუხედავად იმისა, რომ წეში მატარებლის შეყოვნების გამო თითქმის ერთი საათი ელოდნენ, მაინც მომღიმარი მიმზერდა. მეტიც, როგორც ნამდვილმა ფენტელმენმა, ბოდიშიც კი მომიზანდა ბრიტანეთის რკინიგზის უნიათობის გამო.

ტრევერი მეკლესთან, ჯეინთან ერთად, დევონის მშენებ სოფელში ერთ დაბერებულ წისქვილში ცხოვრობს. ისინი წელიწადის რამდენიმე თვეს ტოს-

კანაში ატარებენ და ხშირად ბრუნდებიან ირლანდიაში, ტრევერის სამშობლოში. ეს ინტერვიუ მის მისაღებ ოთახში ჩაიწერა, ბუზარში ცეცხლის ფონზე, ვიქტორიანული სტილის ფერმის სახლში. იქვე მაგიდაზე წიგნები ლამაზად იყო დალაგებული, კედლები კი მომძვლვებული - თუ არ ჩავთვლით აქა-იქ პიერ-ლუიზ რედუტის რამდენიმე ტილოს. ფანჯრებს, რომლებიც ოდნავ იყო შეღებული, ლურჯი ხავერდის ფარდები ამშვენებდა. ტრევერი ზანტად ჩაჯდა სავარძელში, თავისი გრძელი ფეხები ერთმანეთზე გადააწყო და ისეთი ადამიანის გამოემეტყველება მიიღო, თითქმის ეს-ესაა ღვედი შეიკრა და გრძელი, სავარაუდოდ სამაში მოგზაურობისთვის მოემზადა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სამოცი წელია, ტრევერი ახალგაზრდულად მოქნილი და მოხედნილია. ყვეისფერ შალის ჯემპრში, მალსტუხსა და ველვეტის შირვალში გამოწყობილი, ნამდვილ სოფლის სკოლის მასწავლებელს ჰგავს. ხავერდის ბალომებში ჩაფლულმა მისტერ ტრევერმა თითქმის ოთხი საათის განმავლობაში ისაუბრა - ზოგჯერ ვუღუხვად ლაპარაკობდა, ზოგჯერ კი მოლიანად ითიმებოდა, იმ შემთხვევაში, თუ კითხვა ძალიან პირა-

დული იყო. იგი იმდენად იმპერსონალურად და განყენებულად საუბრობდა საკუთარ თავზე, ტკონენობდათ თითქმის ვინმე სხვას განიხილავდა - გიჟს, რომელიც ოდესღაც წვეულებაზე გაიჭრა და ბუნდუნად ისვენებდა. სამდენიმე საათის შემდეგ გულთანადახდობას შეეფუძნებოდა - ინდაურის ღვეზელი, ოჯახური ბოსტნეულის წვნიანი, ყველი და ხილი, რა თქმა უნდა, მონტეპულჩანო კიანტის უგემრთავი ბოთლი ღვინო. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ჩამწერი გამოვრთე, ხერხის სახე ჭიკაძე ჩამლაუჭებელი მისტერ ტრევიორი სიცილით გაჩოქებდა, რომ ოცი წლით ადრე, ისიც ჩემსავით გააგზავნა

Paris Review-ში ინტერვიუს საღებდად. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მან ევროფრთი მოახერხა ჯიუტად სიტყვადუნე ენტონი პაუელიის რამე კონკრეტულ თემაზე აღაპარაკება. ორივეს მალევე ულიარება მარცხი და როგორც ტრევიორი იხსენებს, ლამის მთელი მუადღე უსამართლო სრუქში, კარ-მიდამოს თავლიერებაში გაუტარებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უხერხული სიტუაციის გამო მას ნამდვილად თანავგუწოვდა, მაინც მაღლივი ვიყავი, რომ ამ მოვინებამ უბძე, პაუელიისგან განსხვავებით, თვითონ ყოვლიყო მასუხისმგებლობის კრძნობით სავსე რესპონდენტი.

- რა გააკეთეთ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ?

- როცა დუბლინის ტრინიტის კოლეჯში სწავლა დაეასრულა, სამსახურის პოვნა ვცადე, რაც იმ დროს, 1950-იანი წლების ირლანდიაში, ძალიან რთული საქმე იყო. საბოლოოდ, გაზეთში მივაგენი განცხადებას - ვიღაც ნერდა, რომ შვილისთვის მასხადლებელს ეძებდა. „ხედავარქილია მონაზონისთვის“ - რეკომენდაციის სახით ისვენებდა ბოლოში, რაც საინტერესოდ მომეჩვენა და, მართლაც, ეს სამსახური ჩემი გახდა. დუბლინიდან ყოველ დღე ავტობუსით ოცხადეთ მიღს ვმზავრობდი ხოლმე და იმ უკუღმართ ბავშვს ვასწავლიდი. დედამისმა მალე მეზობლის ბავშვებზე მომიყვანა და პატარა აკადემიაც ჩამოაყალიბა.

- მონაზონი რატომ უნდოდათ?

- იმიტომ, რომ მონაზვნები ზოგჯერ მოცლილები არიან. ნახევარი დღის საქმე იყო, ანაზღაურება კი სრულიად სამკარისი თავის გასატანად და ეს დაახლოებით ერთი წელი გაგრძელდა. მაშინ წერა არ მინტერესებდა. სამსახურს თავი გვავანებ, როცა ცოლი მოვიყენე და შემდეგ წელიწადნახევარი ჩრდილოეთ ირლანდიის სკოლაში ვმუშაობდი, სანამ არ გაკოტრდებოდა. რადგან სხვა სამსახურს ვერ ვმოულობდი, იძულებული ვიყავი, ირლანდია დაგვეტოვებინა. ინგლისში, მიდლენდში, დავიწყე სკოლის მასწავლებლად მუშაობა, სანამ მოქანდაკეობა არ გადავწყვიტე. დასავლეთში გადავედი და ეკლესიაში დავიწყე მოქანდაკეობა. ასე ცხოვრობდი მთელი შვიდი წელი. შემდეგ, როცა პირველ შვილს ვულოდებოდა, აშკარა იყო, რომ ჩემს ხელდასაწილად იმდენი ვერ ვიმოტივებდით, ამიტომ თავი დავანებე მოქანდაკეობას და რეკლამების მწერლად დავიწყე მუშაობა - რაც ძალიან დიდი გამართლება იყო, რადგან ამ საქმისა არაფერი გამეგებოდა. ოცდაათი წლის ვიყავი, როცა ლონდონში გადავედი, რამდენიმე წელი რეკლამებს ვწერდი და ყოველთვის სამსახურიდან გაგდების კანდიდატი ვიყავი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ საშინლად გამომდიოდა ეს საქმე. სწორედ მაშინ დავიწყე მოთხრობების წერა. ორი რამ მომეცა - საბეჭდი მანქანა და ულგეო რაოდენობის ფინჯანი ჩაი. შემქმნელ დღეები დამეთმო რეკლამის წერისთვის, რადგან მათ ეს საქმე ძალიან მინიჭებოდა და მასწავლებელი. მაგალითად, ოთხი ხაზი თუ მოკონდა დასაწერი საღებავითა დაკავშირებით, ორი დღე მაინც არ ელოდნენ გამზადებულ ტექსტს. ამ ყველაფერს სერიოზულად არ ეუფერებდი და მეც წერა და-

ვინც. სწორედ იქ ცოდნის დროს დაწერე *The Old Boys* და მგონი კიდევ ორი სხვა რომანი.

- სამსახურის დროს?

- მთლიანად არა. თუმცა, ზემოთ ერთ-ერთი რომანის ქსეროასლი მართლაც სამსახურის აპარატით გადავიღე. ამას პოეტი გევის იუარტი, რომელიც ასევე სააგენტოში მუშაობდა, თავის ერთ-ერთ ლექსშიც ასხენებს: „შეუძლებს ორივეს სამსახური ნოტილი იყო, სადაც სიბოძის ძროშიალი აკრძალული იყო/ და მე მასსოვს ტრევიორმა (ქალის დახმარებით) ქსეროქსით მთელი რომანი როგორ გადაიღო./“ ვხედავ, მუშაობთ გვიანობამდე - თქვა დირექტორმა/ და თან გაუყავა გზის სასმელ-საჭმელ-ლოგიაზამდე.“ უფროსობა დივიცილი, კვირათ ორი დღე მემუშავა, მაგრამ ეს პრივილეგიაც ბორბად გამოვიყენე. მე და ჯენი ბრიუგემი ნავედით ერთ მაბათ-კვირას და უკან აღარ დაებრუნდით. გამოვიდა, რომ მიდლენდის რომელიცა კომპანია უბედურ დღემო დაეტოვა. საბოლოოდ, თავადვე სამოვედი, რადგან გამოსაღების პირას ვიყავი და, ზოგადად, ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა მქონდა დამსაქმებლებთან.

- სარეკლამო სააგენტოში მუშაობის რაიმე ასპექტი სიამოვნებას განიჭებდათ?

- მხოლოდ დღევანდელი გადმოხსენიდან. თუმცა, ყველა გამოცდილება კარგი გამოცდილებაა მწერლისთვის - გარდა ფიზიკური ტკივილისა. თანავსებ საქმე საინტერესოა, რადგან ხალხი ოფისში სრულიად განსხვავებულად იქცევა ყოველდღიურ, საოჯახო ცხოვრებასთან შედარებით. მასსოვს, ზირმინგემის მაზლობლად მდებარე ქარხანაში უნდა მივსულიყავი, სადაც ბრახნები მზადდებოდა. სხვა სიტუაციაში, ალბათ, ყურასოდეს ვაცივებდი ადამიანს, რომელიც ბრახნებს ამზადებს და, სხვათა შორის, განსაკუთრებით მაინტერესებს სწორედ ის საქმე, რომლითაც ხალხი დაკავებულია. ყოველთვის სერიოზულად გეშინოდა, რომ სამსახურიდან გასათავისუფლებდნენ და ამ შეგრძნების დამახსოვრებაც საჭირო გახდა.

- კარგი რეკლამა გამომზადებიათ?

- ო, არა. საშინელს ვამზადებდი. მიჭირდა ნავის პროპელერებზე ან ლუდზე ან ავიაკომპანიებზე და-მაჯერებლად წერა. სლოგანებს ვერასოდეს ვიფიქრებდი. თუმცა, სარეკლამო ინდუსტრია არ იყო ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი - ამდენივე ხანი ვიყავი მასწავლებელი, და თუ ოდესმე კიდევ მომიწევდა სამსახურის მოვნა, ვფიქრობ, მასწავლებლობას ვარჩევდი.

- რას ასწავლიდით?

- ასე თუ ისე, ყველაფერს. მათემატიკის სწავლება ყველაზე მეტად მოწონდა, რადგან ფიგურებთან ურთიერთობა მიყვარს და აქედან გამომდინარე, კარგად მესმოდა ბავშვების, რომლებიც ჩემნაირად გაურკვევლობაში იყვნენ. დიდად მატიკის ცეცხლი მათ, ვინც ამ შესაძლებლობას ფლობდა. ჩემმა ხელოვნებისა და ინგლისურის ცოდნამ მოუთმენელი გამახდა და შედეგად, ამ საგნებს უდიდესად ვასწავლიდი. „რატომ არის ხელოვნების თითხის კედლები აფრელებული მახინჯი ქალების ნახატებით?“ - ერთხელ დირექტორმა მკითხა - „და რატომ აქვს ზოგ მათგანს ნესტოები გაჩრილი სივარტის ნამწვები?“, მეც აფუხენი, რომ ბავშვებს დავავალე, რაც შეიძლება მახინჯი ქალი დაეხატათ. ჩემდა საუბედუროდ, თითქმის ყველა დირექტორის ცოლს შევავა. ძალიან მომწონს ეს უმძაქური რაღაც ბავშვებში.

- ქალების ფერმერი მართლა იყავით?

- არა, ქალების ფერმერი, სამწუხაროდ, არ ყოფილა; ამერიკულ გაზეთში ნავიციოზე, კარგი პოლოს მოთამაშეაო, რაც ძალიან მესიამოვნა. ცხოვრებაში პოლო არ მოთამაშია.

- პირველად როდის მოგინდათ მწერალი გამხდარიყავით?

- ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა მწერლობა მინდოდა. დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი თორიულერებს. ათი წლის რომ ვიყავი, სწორედ თორიულერების წერა მინდოდა. ეს ჩემი მწერლობის სურვილი დიდი ხანი გაგრძელდა და შემდეგ ხელოვნების ოსტატის ზეგავლენით ქანდაკება აღმოვაჩინე. ახლა რომ, მწერლობა აღარ მიზიდავდა და, მართლაც, მას კარგა ხანი სერიოზულად არ მოვიკიდე. სტუდენტობის პერიოდში საერთოდ არ ვწერდი.

- რას კითხულობდით იმ პერიოდში, როცა სერიოზულად წერა დაიწყეთ?

- იმის შემდეგ, რაც დიქციონერებისა და დეტექტივების კითხვა დავასრულე, ა.ე. კრონინის, ფრენსის ბრეტ იანგის, სესილ რობერტსის - მსგავსი საშუალო ღირსის ავტორების კითხვა დავიწყე. ჩემთვის ისინი განსაკუთრებული იყვნენ, თუმცა შემდეგ სომერსეტ მოემი გაეგარძელე, რომელსაც ყოველთვის ვაღმერთებდი - განსაკუთრებით მის მოთხრობებს - და ამის შემდეგ ისეთი ირლანდიელი მწერლების კითხვა დავიწყე, ვინც აქამდე ნაკითხული არ მქონდა. ჩვენ მათ არ ვიმჩნევდით, ალბათ, იმიტომ რომ „შიხაურ პრორუქტად“ ადვილქამდით. ალბათ, ჯოისით დავიწყე; რაღაც პერიოდში დიკენსსა და ვიქტორიანულ პერიოდს გავეყვანი. ხარბად და სიხარულით ვკითხულობდი და იმ მომენტში გაყაანალიზე, რომ ვერ დანერგ, თუ არ კითხულობ.

- თქვენი წერის სტილი ძალიან სტაბილურია - ფორმით ექსპერიმენტირებას მიმართავდით იმ პერიოდში? როგორ ფიქრობთ, საგრძნობლად შეიცვალა თქვენი წერის სტილი?

- არა, ვფიქრობ, ყველა სახის მწერლობა ექსპერიმენტულია. ძალიან ამაყა ექსპერიმენტული მწერლობა იმაზე მეტად ექსპერიმენტული არ არის, რომელსაც ჩემნაირი ჩვეულებრივი ავტორი იყენებს. ექსპერიმენტებს მივმართავ ყოველთვის, მაგრამ ჩემი ექსპერიმენტები დამალულია, ანტრეპატული ხელოვნების მსგავსად: უყურებ ანტრეპატულ ტილოს, შემდეგ უყურებ რენესანსის ნახატის მიახლოებულ ვარიანტს და სწორედ იმ ანტრეპატის პოულობ.

- როცა *The Old Boys* გამოქვეყნეთ, მგძმა რომდით სხვა მწერლებთან და ხელოვანებთან?

- იმ დროს ჩემი მეგობრები, ძირითადად, ხელოვნების სამყაროდან უფრო იყვნენ, ვიდრე კონკრეტულად ლიტერატურის სფეროდან; სხვა მწერლებს ნამდვილად არ ვიცნობდი. თუმცა, მე რატომღაც არასოდეს მიზიდავდა კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილების ამავე. მეგობრები მყავს, რადგან ისინი მომწონს. ჯგუფების ცნება მენიშლება.

- რომანის გამოქვეყნება სირთულეებთან იყო დაკავშირებული?

- რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, არა. ჩემი რამდენიმე მოთხრობა ჟურნალებში გამოქვეყნდა და როცა რედაქტორმა ისინი ნავიციო, მირჩია რომანი დამეწერა. მან 50 ფუნტიც კი მომიცა, რათა *The Old Boys* წერა დამეწყო. ძალიან გამიმართლა, რადგან ამ რომანის ადამტყვითი სატელევიზიო და რადიო სექტაკლი გაკეთდა; როგორც ჩანს, ხალხი დაერთო, მეც გადავამუშავე ის და სასცენო სცენარად გავწერე.

- რამდენი წლის იყავით როცა *The Old Boys* გამოქვეყნდა?

მეორე 1964 წელს გამოვიდა, ანუ ოცდაოთხმეტი წლის ვიქნებოდი.

- როგორც ნავიციო, წიგნის დაბეჭდვის ნებართვა ივლის ვოს გაუცია... ეს როგორაა მოხდა?

- ნაუკითხავს, მოსწონებია და ამიტომაც მისი ციტატა წიგნის ყდაზეც მოხვდა.

- როცა წერა დაიწყეთ, თავდაჯერებულობას გრძნობდით?

- არა მგონია. ვფიქრობ, თავდაჯერებულობა ძალიან საზიფათო რამ არის მწერლისთვის. როგორც ნესი, წერის დროს ეჭვითა და მოუთმენლობით ვარ ხავსე, ვცდილობ ახალი რაღაცები გამოვიყვო და არასოდეს ვარ დარწმუნებული, რომ რამე კარგად გამომივდება.

- მიგაჩნიათ თუ არა თავი ირლანდიური ლიტერატურული ტრადიციის ნაწილად?

- ეს კითხვა, როგორც წავსა, ძალიან ალიზიანებს ირლანდიელ მწერლებს, რადგან ფიქრობენ, რომ იგი გულისხმობს თითქმის ირლანდიელი ავტორი ან ლივერპულიდან ან იორკშირიდან იყოს, ანუ ხალხსამ ადგილობრივ, რეგიონულ ავტორიტეტზეა.

- სინამდვილეში პირიქით არაა?

- მართლაც პირიქითაა. მე ჩემს თავს ყოველთვის ირლანდიელ მწერლად მოვიხსენიებ. მე იმ ირლანდიელ მწერალთა მცირე რიცხვში ვარ, ვისაც რეალურად მოსწონს ეს ფრაზა. რადგან ირლანდიელი ვარ, მიმჩნია, რომ ირლანდიის ტრადიციას ვეუბნები. ნამდვილად არ ფიქრობ, რომ ირლანდიულობა მთავარი - მნიშვნელოვანია ირლანდიის პროვინციალიზმი ავიღო - რაც მე კარგად ვიცი, რადგან სწორედ იგიდან ვარ ნარმოშობი - და იგი უნივერსალური გაგხადოთ.

- ბავშვობაში ხომ არ გყოლიათ გვარები, რომლებიც ირლანდიელი მწერლები იყვნენ? ოდესმე ვინმესთვის კონკრეტულად მიბაძვა გდომებიათ?

- თუკი ირლანდიის გმირებზე ვფიქრობდი, ირლანდიის პოლიტიკური ლიდერები ნარმოიმდებოდნენ. მაშინ ირლანდიელი მწერლები არც ისე დაგვიკვირებულები იყვნენ, როგორც ახლა არიან. იეიტსი და ბერნარდ შოუ ძალიანაც ცოცხლები იყვნენ როცა პატარა ვიყავი და მათ არ მქონდათ ისეთი სტატუსი,

რომელიც გარკვეული ხნის შერე მოძიოვებს. პოეზია, რაც კი ოდესმე მისწავლია, ან ინგლისური, ან მოტი-
ლანდური იყო. ძალიან მიყვარს ჯოისი, განსაკუთ-
რებით „დუბლინელი“, მაგრამ არასდროს მყოლია
გამორჩეული ლიტერატურული თვალსაზრისით.

**• როცა თქვით - „თუ ნამდვილად გინდათ ირ-
ლანდიის შეცნობა, მას უნდა მოჰყრდეთ“, რა იგუ-
ლისმებთ ამით?**

• ეს ზედმეტი სიახლოვის საკითხია. ოც-ოცდაათ
წლამდე არასოდეს ვყოფილვარ ქვეყნიდან გასული
და ვფიქრობ, იქ რომ დავრჩენილიყავი, ისეთ ქალაქ-
ში, მაგალითად, როგორებიცაა სკებრინი, კორკი,
მას [ირლანდია] ვერასოდეს დავინახავდი იმე, რო-
გორც უნდა ვგზავდე. თითქმის ტელევიზიის არას-
ნორი მხრიდან იყურებდი. მწერლების უმეტესობის-
თვის გადასახლება დიდი სარგებელი მოჰქვს.

• გამოძის, რაღაც განსაკუთრებული თვითონ
ირლანდიაშიცაა; რაღაც თავისებური მახასიათე-
ბელი, რომელმაც თქვენს და სხვა ცნობილ გადა-
სახლებულებსაც გიბიძგათ წასულებიყავით.

• არა; ის, რამაც ირლანდიას დამაშორა, სამაჩუ-
რის ვერ მოვხა იყო. არ მინდოდა ირლანდიიდან წას-
ვლა, იქ დავრჩებოდი. ნამდვილად არ მქონია იმის ამ-
ბიჯი, ნაფუთყაფი და „მორჩილი სწორად დამენახა
ირლანდია“; უბრალოდ წასვლის შეშინებამ გამო-
იწვია ეს. იქ რომ დავრჩენილიყავი და წერა დამეწყო,
მაშინ შეიძლებოდა მართლაც ჩემით გამოქცეული-
ყავი. შეიძლება შეთქვა, „ვერ უნდა ნახედე, რადგან
გარემოს სათანადოდ ვერ უყურებ“ ან იქნებ ხაერ-
თოდვე ვერ დამეწერა მისზე. არ ყოფილა მოხდებო-
და. ირლანდიის შესახებ ძალიან დიდხანს არ ვწერდი.
მე ვწერდი ნიკენებს, რომლებიც ძალიან ინგლისურად
მოიხდებოდა, განსაკუთრებით ამერიკაში და ეს, რა თქმა
უნდა, იმიტომ მოხდა, რომ იმ ქვეყნებზე ვწერდი, რო-
მელიც ჩემთვის უცნაური და ძალიან მოშინებლავი
იყო. ინგლისს კარგად არ ვიცნობდი, სიახლოვის სა-
პირისპირო სიტუაცია იყო: საკმაოდ შორს ვიყავი მის-
გან. ინგლისური საზოგადოება ძალიან მუცუნუნარა,
მაგრამ მაღლედ აყვები. ამასობაში, რამდენიმე წიგ-
ნის შემდეგ, მივხვდი, რომ ირლანდია ხედავდნენ მი-
ყარდებოდა და სწორედ ამიტომ დავიწყე წერა ირ-
ლანდიის შესახებ.

• თქვენს წიგნებში ბევრი მღვდელია.

• ირლანდიაში არიან ბევრი მღვდლები - და ბევ-
რი მონაზვნებიც. ჩემი პირველი სკოლა დედათა მონ-
ასტერის იყო და მონაზვნები ძალიან მომწონდნენ.
კათოლიკურ ეკლესიასთან მძირად მქონდა შეხება,
თუმცა სერიოზულად არასდროს ვცდილობდი მისი
წერილ გავმედიარებო.

• რელიგიური ხარ?

• თავს დიდად რელიგიურად არ მივიჩნევ... ეკლე-
სიაში მხოლოდ მაშინ დავდივარ, როცა ირლანდიაში
ვარ. ინგლისური ეკლესიები, თავიანთი გადაკაშმუ-
ლი საფლავებითა და რელიკვიებით, თავს უხერხუ-
ლად მაგრამობინებს, რასაც ვერ ვიტყვი ირლანდიის
პატარა, მსუბუქი პროტესტანტულ ეკლესიაზე.

**• თქვენს ნაწერებში რწმენის თემას დიდი ად-
გილი უკავია. გვყავთ გმირები, რომლებიც ცდილი-
ბენ შეეგონ და დასძლიან ყოფილებს პრობლე-
მები. მათი რწმენა ადამიანური რწმენაა თუ სპი-
რიტუალური?**

• არა გვგონა, ადამიანური იყოს; ვფიქრობ ჩემს

გმირებს რაიმე ფორმის ღმერთის პრიმატის გარეშე
ნა აქეთ. სწორედ ეს ჩანს ჩემს წიგნებში. ყოველთვის
ვიძაბი, რომ ჩემი მწერლობა რელიგიური თემატიკი-
საა და არაგინ მეთანხმება. ვფიქრობ, დროადადრო
ყოველთვის პაექს მომენტები, როცა ჩემი გმირები
ღმერთს აწუხებენ - მას ნინააღმდეგ მიდიან, იძახიან,
თუ როგორი ბოროტი და დაუნდობელი ვინმეა. ეს
ყველაფერი ფორმალური რელიგიის გარეთ რჩება და
გმირებზე, რომლებიც ღმერთზე ლაპარაკობენ, დი-
დად რელიგიურები არ არიან, თუმცა რაღაც ყოველ-
თვის აწუხებთ და არც ერთდებთან მია გამოხატვას.

• თანამედროვე მწერლებზე რას ფიქრობ?

• თანამედროვე ლიტერატურას დიდად არ ვკითხუ-
ლობ. ხელმეორედ ვეცნობი დიკენსს, ჯორჯ ელიოტს
და ჯეიმს ჰოსტისს. ამერიკული მწერლობა ყოველ-
თვის მიზიდავდა, განსაკუთრებით კი ამერიკული
მოთხრობა. უდიდეს პაქებს ვეცმ. სკოტ ფიცჯერ-
ალდეს, ჰემინგუეის, ფოლკნერს, ჯონ აბრაჰამს. ასე-
ვე მომწონს კარსონ მაკკალერისი, ფრენ მაკკარტი და
ტენესი უილიამსი - თუმცა, უფრო მისი პროზა, ვიდრე
პიესები. ირლანდიელი ავტორებიდან განსაკუთ-
რებით ვფრჩხ მური და ჯეიმზ სტივენსი მომწონს,
ასევე ფოისი, რომელიც უკვე ვახსენე. ნათარგმნი ლი-
ტერატურას იზიარებდი ეკითხულობ, სულ მგონია, რა-
ღაც მნიშვნელოვანს ვკითხვებ კითხვის პროცესში,
თუმცა პრუსტსა და მორიას ხელმოკრედ ვუბრუნ-
ებდი ხოლმე.

**• ამერიკელ მწერლებში რა მახასიათებელი აფა-
სებთ?**

• ორიგინალობასა და პირდაპირობას.

• და ინტელსელი მწერლები?

• დიდ პაქებს ვეცმ გრემ გრინს, აივი კომპტონ-
ბერნეტს, ემტონი პაუელსა და ვ.ს. პრიტიკტის
მოთხრობებს. ზოგადად, ლიტერატურული დაფახე-
ბის ნამდვილი გამორცდა ხელმოკრედ ნაკითხავია. მე
ყველა ისენებულ ავტორს თავიდან ვკითხულობ, ასე-
ვე პერიდ გრინს, იელდის ვის. მათ ყველამ მოახერხეს
ისეთი გმირების შექმნა, რომლებიც ჩემს წარმოსახ-
ვაზე არიან მიჯნაყვები, თითქმის ნამდვილი ადამ-
იანები ყოფილიყვნენ. ირლანდიური მწერლობიდან,
ძირითადად, მოთხრობებს ვკითხულობ.

**• რა არის მოთხრობის თქვენული განმარტე-
ბა?**

• ვფიქრობ, მოთხრობა თვალის მოკერის ხელოვ-
ნებაა. თუკი რომანი რენესანსის ჩახლართული ტი-
ლოს ემსგავსება, მოთხრობა უფრო იმპრესიონისტუ-
ლი ნაშატი. მისი ძალა არა მარტო იმანია, რასაც ამ-
ბობს, არამედ იმანაც, რასაც უთქმელს ტოვებ. მო-
თხრობის საექცა უაზრობა სრულიად გამორცხოს
თხრობიდან. აი ცხოვრება, როგორც წესი, ძირითა-
დად, უაზროა. რომანი სწორედ ცხოვრების იმიტატი-
ას აკეთებს, ბოლო მოთხრობა ფხიანია და ხეტიალის
ფუფუნება არ აქვს. მოთხრობა საჭირო ხელოვნებაა.

**• თქვენი ირლანდიური თემატიკის მოთხრობე-
ბი შესამწინვად განსხვავდება თქვენი ინგლისური
და იტალიური მოთხრობებისგან?**

• ვფიქრობ, რომ ასეა. ის საზოგადოება, რომე-
ლიც ირლანდიური მოთხრობებიც მყავს წარმოადგენი-
ლი, სხვაგან არსად არსებობს. ირლანდიური მოთხრო-
ბებში ხალხი ერთმანეთს ელაპარაკება, ინგლისურში
კი ყველა თავის სათქმელს ამბობს, თუმცა ერთმა-
ნეთს არაგინ უსმენს. ინგლისელები ბევრად უფრო

არამპირდაპირი ხალხია, რასაც ვერ ვიტყვით ირლანდიელებზე. ეს ჩემი რალაც ღრმა დაკვირვება არაა, მაგრამ სწორედ ასეთი პატარა დეტალები გვაჩვენებს უფრო ფართო სურათს სხვადასხვა ერებზე, რაც საბოლოოდ ძალიან ეფექტური გამოდის თხრობაში. ირლანდია იმდენად ძველადღურია, რომ თითქმის სხვა ერას ეკუთვნის. დაახლოებით ორმოცდაათი წლით უკანა ინგლისზე - ამავდროულად, იგი განვითარებული (მესამე მსოფლიოს) ქვეყანაა, რომელშიც ზამთარში თოვს. ამბები ირლანდიაში სწრაფად ხდება და ძველი ღირებულებები, ამ სწრაფ ცვლილებებთან ერთად განსაკუთრებულად საინტერესო კომბინაციას ქმნის.

- თქვენ არასოდეს შეგიქმნიათ მთავარი გმირი, რას ფიქრობთ, რატომ?

- იმიტომ, რომ ისინი ძალიან მოსაწყენები არიან. მთავარი გმირების ადგილი მოთხრობაში არ არის. როგორც ფრენკო კონორი იხატდა: „მოთხრობები პატარა ადამიანებზეა“ და მეც ვეთანხმები. ჩემთვის „არაგმირული“ მხარე ბევრად უფრო მრავალფეროვანი და გასართობია.

- დრო დიდ რაღას თამაშობს როგორც თქვენს მოთხრობებში, ისე რომანებში - ამბები, რომლებიც გმირებს წარსულში გადახდით თავს და ის ეფექტი, რომლებიც დროის გასვლამ დატოვა მათზე. რამდენად არის წარსული მნიშვნელოვანი თქვენთვის?

თითქმის ყველაფერი, რასაც ვწერ, შინადა სულიერებას ეხება, თხრობას ღრმა გავშვების ერთ პიქტურა ამავეში ან მომენტში გადაეყვარა. სწორედ ამ მომენტის გამოცალკევებითა და თავიდან განცდით რეალური ცხოვრების უკეთ აწყობა და გადამნახეობა. ამ მხრივ, ახლანდელი ცხოვრების აწყობა შეუძლებელია დროის ამ გაზარების გამოყენების გარეშე. მოთხრობა ძალიან ჰგავს პორტრეტს.

- დროს განადგურების თუ შენახვის ფუნქცია აქვს?

- ორივე. მას შეუძლია განკურნებაც და განადგურებაც, გაანადგორო ქრილობასთან გვევს საეჭი. ან სიმწარეს ვხვდებით, ან აღდგენას: ყერცერთი მოხდება დროის გარეშე. დრო ყველაზე საინტერესო რამაა დახანერად, თუ ადამიანებს არ ჩათვლით - ყველაფერი, რასაც ვწერ, მასაც. დრო ჰაერითაა; ყოველთვის ჩვენთანაა, ყოველთვის ცვლის ხალხს და აყალიბებს გმირებს. მოგონებებიც ქმნის გმირებს - როგორც ახლა ხარ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გახსოვს მოვლენები. ხალხს ძალიან უჭირს თავიანთი ინტეგრირება მხარის სხვა ადამიანებთან გაზიარება და ამ სირთულეზე ხშირად ვწერ ხოლმე.

- რომელ ნამუშევარს გამოარჩევთ თქვენი შემოქმედებით?

- ჩემი რჩეული ყოველთვის ის ნივთია, რომელიც ბოლოს დავწერე. ალბათ, ახალდაბადებული ბავშვი რომ გამოირჩეულად გვიყვარს, იქაც ეს პრინციპია - ისიც უშეშო და სუსტია. უფროსები კი უკვე დიდები არიან და თავიანთ თავებს თავადვე მიყვადვენ. საყვარელ ნივთს ვერ გამოვარჩევ. თუმცა, თუ რომელიმე მოთხრობა არ მომწონს, ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ის მართლაც ცუდია.

- ქალის გადმოსახედიდან წერა გერთულებ?

- არა, არ მერთულება. ეგ იგივეა, ხანმოძუსული ხალ-

ხის პერსპექტივიდან ვერ დანერო, რადგან შენ ხარ მოხუცებული - მე კი საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი როცა *The Old Boys* დავწერე. ალბათ, ძალიან მოსაწყენია მხოლოდ პირადი გამოცდილებიდან წერა. მოხუცებზე სწორედ ცნობისმოყვარეობის გამო დავწერე. მინტერესებს რა გრძნობაა, როცა მოხუცი ხარ, რას გრძნობ, როცა ოთხიდან ოთხიში დადიხარ და სკეულს ბოლომდე ვერ იმორჩილებ. მსგავსად, მინდა ვიცოდე, რას ნიშნავს იყო ქალი, ანუ აქაც ცნობისმოყვარეობის გამო ვწერ. ახლა, როცა მე თვითონ გებრუნები, ბავშვებზე უფრო მეტს ვწერ, რადგან კარგა ხანი გავიდა, რაც ბავშვი აღარ ვარ. ოდნე განსხვავებული პროცესია, თუმცა იდეა იმავე აკეთებდას ეუფერნისა.

- სოვერე შემადგომებელია, რამდენად ზუსტად ახერხებთ სრულიად განსხვავებული ტიპის გმირების ფსიქოლოგიაში შედნევა, განურჩევლად მათი ასაკისა, სქესისა თუ წარმოშობისა. რაღაც ეშმაკური იმამი, თუ როგორ მარტივად შედისათ პერსონაჟების აზრებში; როგორ შეიძლება ამდენი იცოდეთ ამ განსხვავებული ხალხის ცხოვრების შესახებ? თითქმის მუცლით მეზღაპრე ხართ, რომელსაც შეუძლია ხმა ყველაწაიარ თოჯინას მთარგოს. ხომ არ ფიქრობთ, რომ რაც უფრო უკეთესი მწერალი ხდებით, მით უფრო მეტად გრძნობთ საჭიროებას უფრო რთულ გმირებს ჩაწვდომ? ყოველთვის მინტერესდება, როგორ იცნობდით თქვენს პერსონაჟებს, რა ეტაპზე იყავდით მათ მიზნებას და სურვილებს, რატომ აცვია ერთ-ერთ ქალ გმირს ალუბლისფერი წითელი კაბა და არა რამიმ სხვა ფერი? როგორ აღწევთ ამ ყველაფერს?

- რააც ამაზე, მისი მიზნება მხოლოდ დაკვირვებით შეიძლება. მგონია, რომ სხვაწაიარად შეუძლებელია. დაკვირვება კი უბრალოდ ვინმეს მატერებელ ნახება და მასთან გამომლაპარაკება არაა. ის უფრო თითოეული ადამიანისა და მათზე დაკვირვების შედეგებია. ვფიქრობ, თუნდაც უმნიშვნელო მოვლენების შექმნაზე და შემდეგ მათი დამახსოვრების უნარი ყველა მწერალშია უბრალოდ დევს. ისინი ძალიან განსხვავდებიან ადამიანებისგან, რომლებიც ფუნქციით საჭირო და კარგ ინფორმაციას აგროვებენ და შემდეგ ასევე ფუნქციურად იყენებენ. მწერალი უმნიშვნელო დეტალებს იმაზაოვრებენ, მრავლისმეტყველ დეტალებს. რომელიმე სახე წლების შემდეგ შეიძლება დაგვირუნდეს მესხიერებათ, თითქმის თავის დროზე ფოტო გადაგვეღო და ახლა გვენახა. ასეთ მომენტებში მწერალმა შეიძლება იტიროს, მე მართლაც კარგად ვიცნობ ამ ადამიანსო, შეიძლება იმის მტკიცება დაიწყოს, გადასარევი გამოქრიაბობა მაქვსო, მაგრამ რეალურად ეს ძალიან გარჯე წარმოსახვის უნარია.

- ასეთებში გაქვთ, რომ მოთხრობა არა უშუალოდ თხრობა, არამედ ფიზიკური მოვლენით, მომენტით იწყება, ისეთი, რომელიც რაღაც ნაპერწკალს ანთებს თქვენში.

- ხშირად მართლაც ასე ხდება, თუმცა მოთხრობები ყველაწაიარად შეიძლება დაიწყოს. შეიძლება გარანდნდეს სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ბევრ მნიშვნელოვანი ღირებულებას მესხინა შესს ცხოვრებას, ან რამე სრულიად უმნიშვნელო მოვლენა. როცა წერას იწყებ, ძირითადად პროცესში იკარგება



**THE OLD
BOYS**

ის, რითაც წერა თავდაპირველად დაიწყო. ზოგჯერ კი ვერც დაადგენ, საიდან დაიწყო ისტორია, თითქოს არასიდან ჩნდება.

- იცით როგორ სრულდება მოთხრობა, სანამ უშუალოდ მის ფინალს დანერო?

- შემძლია წარმოედგინო, როგორ სრულდება, თუმცა უხეშად, დაახლოებით. როცა საქმე რომანს ეხება, ეტყვი არ შემძლია. რომანი მთელი კათედრალია და შვითან ერთად ვერ ატარებ წარმოსახვაში. ძალიან მომწონს მოთხრობის აზრის ჩამოყალიბების მოქმენტი. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობას შეიძლება შინაარსი არ ჰქონდეს, მთავარი აზრი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მე რეალურად მოთხრობების მწერალი ვარ და არა რომანების, არ აგვერის.

- როგორღიმე თქვენი რომანით განსაკუთრებით კმაყოფილი ყოფილხარ?

- არა, განსაკუთრებით კმაყოფილი არაფრით ვყოფილარ.

- ძალიან კარგად გამოვადით შუახნის ქალები, მათი ოცნებებისა და მისწრაფებების წარმოდგენა და ა.შ. ზოგჯერ თქვენზე ვფიქრობ, ნეტა წინა ცხოვრებაში შუახნის ქალბატონო ხომ არ იყო-მეთქი.

- არ ვიცი თუ შეგიძნელიათ, მაგრამ როცა შუახნის ასაკის ქალი გელაპარაკება, ძალიან ბევრ რამეს გიყვება და განცდებს. მე კი საკმაოდ კარგი მსმენელი ვარ. ზოგჯერ სრულიად აღფრთოვანებული ვარ იმით, რასაც ქალი მიყვება - ის, რაც იდეაში ძალიან მოსახყენი და ჩვეულებრივი ისტორიაა. მის მონათხრობში მთავარი დეტალებია, რომლებიც სახელდახელოდაა შერჩეული უფრო ადამიანისთვის მოსაყოლად. რა თქმა უნდა, კაცებიც იგივეს აკეთებენ. საქმე ისაა, რომ ხალხი ადგლიზება, ყველა აქაა და ერთადერთი, რაც მოგითხოვება ისაა, მათით დაინტერესდე.

- თქვენი შემოქმედების ერთ იდეაზე დაყვანა რომ ვცადო, თითქოს შეგუებაა ეს იდეა. მართალი ვარ? ნუთუ შეგუება და რეალობის მიღება ერთადერთი რამაა, რისი გაკეთებაც საბოლოოდ შეგვიძლია ცხოვრებაში?

- დიახ, ფიქრობ რალაც მირიც მაგ იდეაზე დი-ეცევაბა, თუმცა არ მიმაწნია, რომ ეს ჩემი გააზრებული დასკენაა. როცა ისეთ მოთხრობას ვწერ, რომელშიც ხალხი რამეს ეგუება, კონკრეტულად ამაზე არ ვფიქრობ. პროცესში მაინც ვცდილობ გავარკვიო, რისი გაკეთება შეუძლიათ. არ ვაზიანებები აქეთ, რადგან მართლა მეჯრა, რომ მოქმედება შეუძლიათ. აღ-ბათ, სწორედ ესაა განსხვავება ნიჭიტეტურისა და გათავისუფლებულ მკითხველს მისთვის. მე არანა-ირი მისია არ მაქვს, არც ფილოსოფია და იმაზე მეტი-თ არ ვფიქრობ რემს გმირები, რითიც ცხოვრების უსი-ამოფიო სიტუაციები ტვინითავე. მეგონა, რომ ეს სა-ქ-მარისია ჩემის გასაქმელებლად. ზოგადად, კომენ-ტარის გაკეთებითა და განმარტებით არ გამოვიჩე-ვი, ვცდილობ ჩემი აზრი ჩემთვის დაეკოფო. თუმცა, ესეც არაა განსწრაბ არჩევანი, უბრალოდ ასეთი ვარ. სხვათადად მოქმედა რომ დამეყო, ალბათ, დიდ არე-ულბობაში ვიქნებოდი. მე უბრალოდ ჩემს თარგს მი-ეყვები.

- ეთანხმებით იმ კრიტიკოსებს, რომლებიც თქვენს გმირებში "უიმედობას" ხედავენ?

- მართალია, რომ ზოგმა გმირი ნამდვილად უიმე-დო ტიპაა, სხვები კი უიმედო სიტუაციებში აღმოჩ-

ნდება სოლმე. ამ უკანასკნელთათვის თითქოს არა-ფერი ხდება ცხოვრებაში. თუმცა, ზოგადადაც ასე ხდება ცხოვრებაში. არსებობს რალაც რაოდენობის იმედი, თუმცა არა უსასრულოდ. სამყარო ისეთი ვარ-დისდერი არაა, როგორც ხალხს უხდა რომ ის იყოს. თუმცა, ჩემი მოთხრობის გმირები უსაზღვროდ სა-სონარკვევითლები არ არიან. როგორც თქვეც ასე-ნეთ, ის რომ ისინი ეგუებიან გარემო ყველაფერს უკვე მიღწევაა მათთვის. ასე რომ, სრული უიმედობა არ არის. არც სრულად პესიმისტური სურათსა დახა-ტული, მეტიც, ვფიქრობ, საკმაოდ ოპტიმისტურია.

- სადღაც ნავიოთზე, გითქვამთ, მელანქოლიური, დეპრესიული ხასიათი მაქვს. როგორ არის იგი ასახული თქვენს მწერლობაში?

- ნამდვილად არ მასხვს, საკუთარ თავზე მე-ლანქოლიური მეთქვას. ისევე როგორც ქათმების ფერმის ამბავში, მაგ ფრასაშიც შესწორებას შეე-ტნა, თორემ დეპრესიული ქათმების ფერმერი ლა-ნის სუციდს ნიშნავს ზემთვის. ვფიქრობ, ზოგადად, ვერ შეძლებ ნერას, თუ არ იცი რას ნიშნავს ბედნი-რება და მელანქოლია - ყველაფერი, რააც ადამი-ანური ბუნება ეტება. ეტევი მეპარება უბოროდ ბედნი-რი და ოპტიმისტი ადამიანი ოდესმე კარგი ხელოვან ყოფილიყო. მელანქოლიური ნამდვილად ხდება, რო-ცა სიტყვები განვალბენ - როცა ნვლობ ფურცელ-ზე გადმოიტანო, რაც ჯიუტად ეინაალმდეგება გაშობატვას. დეპრესიული რომ ვიყო, ალბათ, გერა-ფერს დაენერდი. ზოგადად, ვფიქრობ, მწერლებს არ აქვთ დედანას დეპრესიამი გოფნის ფუფუნება და ისინი ბევრად უფრო უიმეტრესობები არიან, ვიდრე ხალხს მგონია. მწერლები მოგ ზაფრობენ და საბეჭდი მონყობილობები აქვთ. ბანკში მოუშვებებიები მერ-ბებთან სხედან. ერთადერთი, რაც შეიძლება საინტე-რესო ან უიმეტრესო იყოს მწერლებთან მიმართება-ში, მათი ნაწერებია. იგივე ეტება ნებისმიერ ხელო-ვანს. ჩვენ ჩვენი ნიჭის ინსტრუმენტები ვართ. ჩვენ "აუთოსტადერები" ვართ და საზოგადოებაში ჩვენი ად-გილი არაა. სხვა ხალხი თავის გზას პოულობს ცხოვ-რებაში. კარიერის კიბეზე მაღლა და მაღლა ადიან, იცინა რა არის ამბიცია, ეტევენ ძალაუფლებას. მე ნამდვილად არანაირი ამბიცია არ გამაწნია, არც ძა-ლაუფლებით ვარ დაინტერესებული. ეს ყველაფერი მწერლებისთვის არაფერს ნიშნავს, სხვა მოთხრობი-ლებშიც აქვთ. პირადად მე არ მიყვარს, როცა ყუ-რადლების ცენტრში ვარ, ჩრდილში ყოფნა მიჩრეწნია როგორც მწერალს და როგორც ადამიანს. ყურადღე-ობის ცენტრზე წერა მიჩრეწნია, მისი თარგის წიგნი გადმოიტანა. ზუსტად როგორ ვაკეთებ ამას, არ ვიცი, მაგრამ მეჯრა, რომ იდუმალება ძალიან საჭირო რა-მია. თუ მკითხავთ რატომ, ალბათ, ვერ გიპასუხებთ.

- ყოფილი თქვენს ცხოვრებაში ისეთი მომენ-ტი, როცა მიხვდით, რისი გაკეთება გინდოდათ რო-გორც მწერალს? მაინც რა არის თქვენი მიზანი?

- გულწრფელად რომ ვთხრობა, არანაირი მიზანი არ გამაწნია. არც რაიმე ამბიცია მაქვს. არანაირი განცხადების გაკეთება არ მსურს. მოთხრობის წე-რას მთავებქილების მექმნასავით ვუყვარება, მთავებ-დილებასავით, რომლებიც ვინმეზე იმოქმედებს. სწო-რედ ეს არაა ის, რითი გაკეთებაც მსურს.

ჯულიან ბარნსი

მცირე ფორმის ოსტატი

ინგლისურიდან თარგმნა გუგა მგელაძემ



ჯულიან ტრევეორის, ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწერლის ცხოვრებას უცნაურად ფრაგმენტარული, თუმცა სახეებით თვითკმარი სახით ვიცნობ.

ვიცი, რომ მას სამხრეთირლანდიური პროტესტანტული ფესვები აქვს, რომ მისი ნამდვილი სახელი ტრევეორ კოკსია, რომ ზუსტიად იმ სააგენტოში მუშაობდა, სადაც პოეტი პიტერ პორტერი, რომ შვებულებას ხმელთაშუაზღვისპირულ კუნძულ პორკე-როლზე ატარებდა, სადაც ავტობიომილით მოძრაობა აკრძალულია, რომ ტრადიციულად, სხვა ირლანდიური პროზაიკოსების მსგავსად, მასაც „ირლანდიურ ჩეხოვს“ უწოდებდნენ, თუმცა ნამდვილად არ მიახლოვდება მისი რომელიმე საჯარო გამოავლა ან განთქმავრება, არც გაზეთის არალიტერატურული ფერდის მიერ მისი პიროვნებით დაინტერესების ფაქტი. ნეტა, რაინდად თუ აკურთხეს? არსებობს მასზე The South Bank შოუს გადაცემა? პირველად 1999 წელს, დევიდ კონის პრემიით დაჯილდოების

შემდეგ შევხვდი და უნდა ითქვას, რომ თავაზიანობის, ბიბლის და თავშეკავებულობის მძაფრი შთაბეჭდილება დამიტოვა.

ჩემი ცოლი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ტრევეორის ლიტერატურული აგენტი იყო, მიყვებოდა, თუ როგორ უყვარდა პარკში ფეხით და სივების საუბრების მოსმენა, თუმცა ისმენდა იმდენს, რამდენიც ფანტაზიის „გასალიზიანებლად“ სჭირდებოდა, ბოლომდე არა. მერე უკვე დგებოდა და მიდიოდა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს მაგალითი მწე-ნივრად აღწერს მწერლების საზოგადოებას.

რეალურად ბომ მხოლოდ ცოტა რამ გჭირდება, ბევრი არა. არც არსებობს იმაზე უსარგებლო მომენტები, როცა ვიღაც ბიდი (თან ყოველთვის ბიდი!) ასე გესაუბრება: „გადასარევი ისტორია მაქვს, გამოგადგებათ!“

ტრევეორის შემოქმედებისკენ ნელ-ნელა მივიწევი, რომელიც, სხვათა შორის, დაახლოებით 20 წლის ასაკში, პროვინციულ თეატრში ნახა „ბებური ბი-

ქების“ თეატრალური ადაპტაციის შემდეგ მივაგდე-
ვრც ვხედვობდი, რის შესახებ იყო სპექტაკლი წარ-
მოდგენილი ამავე ან ხალხს რა აცინებდა ბებერ
(თუ ბებერული ვიზუალის მქონე) მსახიობებზე. რა
თქმა უნდა, ჩემი ბრალი უფრო იყო ან, სულ მცირე,
ჩემი ახალგაზრდობის მაინც. ტრევიორი მოზრდილე-
ბისთვის სწორედ მოზრდილივით წერს, თანაც იმ
იმიტით, რომ ცხოვრებასაც აუღებთ ალღოს და მის
პროზასაც. ის ხომ იმ ნაწილობრივი ქეშმარიტების
უდახვეწილესი მომზარდებელია, რითაც ჩვენი, ადა-
მიანები, ვცხოვრობთ ხოლმე. როცა უკვე საბოლოო-
ოდ წავიკითხე „ბებერი ბიჭები“, ის ალექსიკა როგორც
უიშვიათესი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება
თავისი ადრეული კარიერის პერიოდში რომანისტმა
დავასა ასაკის პრობლემებზე საკითხი, თანაც იქამ-
დე, სანამ თავადაც არ გამოცდის მას. თანაც, ტრე-
ვიორი ამას ისეთი დაუნდობელი სიმძაფრით ახერ-
ხებს, როგორც მიურიელ სპარკი თავის რომანში *Memento mori* (ეს მისი მესამე რომანია, ხოლო „ბებერი
ბიჭები“ ტრევიორისთვის მეორეა). ის იმიტირებს, რო-
გორც ახალგაზრდას, ასევე ხანდაზმულს, კაცს, ქალს,
სოფელს, ქალაქს, ქვეყანას, სოციალური კლასის და-
ბალ, საშუალო და ხანდაზმულ წარმომადგე-
ნელსაც კი. რაც შეეხება ახალგაზრდებს, 1976 წელს
დაწერილ რომანში „დინიუტის შვილები“ მხატვრულ
ლიტერატურაში არსებულ ერთ-ერთი ყველაზე სა-
შიშ და მანიჟულატორ ბიჭებად აღწერს. ასე რომ, შე-
გიძლიათ ის ჰერონ ჯეიმის რომანის - „მარნუტი-
ში“ - გავრდიოთაც დააყენოთ.

ზოგადად, მწერლები მრავალი ნიშნით განსხვავ-
დებიან ერთმანეთისგან. მაგალითად, სტილის მი-
ხედვით არსებობენ „შუამომწიწი“ ტიპის ნელსაუბრე-
ბი, რომელთა ფრაზებიც მონოგრაფიულ ფესვსაცე-
ლებით კამპაზებენ და, ასევე, სკრუპულუზურად
და თან შეუმჩნეველად „მოქმედ“ ავტორები.

მწერლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პერ-
სონაჟის კონტროლის მქონე მათაც. მართალიც, ნა-
ბოკოვის მახვილგონივრული ზემოქმედის არ იყოს, სა-
კითხი ასე დგას: პერსონაჟები ვემტებუ გამოიწვევ-
ული მოქმედებით უნდა ვმართოთ, თუ დამოუკიდე-
ბელი არსებობის უფლება მიეცემა?

ასევე არსებობს განსხვავება საჯაროობის თეა-
ლასთანაც. არიან მწერლები, რომლებიც საზოგად-
ო მოღვაწეების ამაღლად გვევლინებიან, აქტიუ-
რობენ პოლიტიკურად და ხოციალურად და
ტყუებიან მუდრასაშუალებებით. სხვები „უბრალოდ“
მთაბრძნობენ არიან მათ ირგვლივ არსებული ცხოვ-
რებით, რის შესახებაც დრო და დრო ბოლუტენებს
უშვებენ ხოლმე.

ამ მხრივ, არსებობენ იმ ტიპის მწერლებიც, რომ-
ლებიც ცნობისმოყვარეობას ალგვირდვენ თავიან-
თი პირადი ცხოვრების, პიროვნების ან სექსუალო-
ბის მიმართ და არიან ისეთებიც, რომლებიც თავდა-
შეუგავად აბტაკიკებენ, რომ ნაწარმოები თავის თავს
უფრო გამოხატავს. ყველა ამ სატექნიკურ, ტრევიორის
ჰაიდორესად მეტარევენ პოზიტივ უკავია. თქვენ
ვერც კი წარმოადგენი, რომ მას, კიდევ 50 წელიც
რომ ეცოცხლა, მაინც არ „დაგუგლავდა“ საკუთარ
თავს.

არსებობს მწერლების სხვაგვარი, უფრო დაუნ-

დობლად ბინარული დაყოფაც: ისინი, ვინც არსებო-
თად რომანისტიები არიან, თუმცა მოთხრობებში, რო-
გორც წესი, არ უმართლებენ და ისინი, ვინც ნოვე-
ლისტიები არიან და რომანის წერისას გვეხდებიან იბრე-
ბიან. რომანისტიები, ხშირ შემთხვევაში, მარცხდებიან
ან მცირე ფორმისთვის დამახასიათებელი ზომიერ-
ბისა და ინტენსიურობის შეთავსებისას. მოთხრობე-
ბის ავტორები კი და იბნეები უფრო დიდ სივრცეში
გასვლის შემთხვევაში. ტრევიორი ის უიშვიათესი გა-
მონაკლისი გახლდათ, ვინც 14 რომანის, ორი ვრცე-
ლი ტექსტისა და მოთხრობების 13 კრებული გათ-
ვალისწინებით, ორივე ფორმას რეალურად ფლობ-
და.

„უკანასკნელი მოთხრობები“ უმრავლესობა,
რომლებიც 2016 წელს, სწორედ მაშინ დაიბეჭდა, რო-
ცა ტრევიორს 90 წელი შეუპირუდებოდა, ძირითა-
დად, იმ მომეტიდან იწვება, როდესაც პერსონაჟთა
ცხოვრება თითქმის დასრულებული ან შემცირებუ-
ლი მანაც გვევლინა. ამბები სიკვდილით, დაქვრე-
ბით, ქორწინების დასასრულით ან იმ ფაქტის უკე-
ბელი გაკეთებებით იწვება, რომ ამიერიდან სწო-
რედ წარსული განსაზღვრავს ყველაფერს. პიანინოს
მასწავლებელი იაზრებს, რომ მისი ცხოვრების ყვე-
ლაზე მთავარი მოვლენა, მამის სიკვდილის თუ ფა-
რული სასიყვარულო ურთიერთობის ჩათვლით, ზუს-
ტად იმ თთხანში მოხდა, სადაც ახლა პიანინოს გაკე-
თილებს ატარებს. საგამომცემლო სფეროს წარმო-
მადგენელი, ვისაც წლების წინ საუკეთესო მეგობარ-
მა ქმარი წაართვა, ამჯერად სრულად ბრუნდა ცხოვ-
რებისეულ რუტინას წარსულის „ნარჩენებში“ დასა-
ვინწყებლად. ზოგიერთი პროტაგონისტი უარს ამ-
ბობს თავის ძველ ვალდებულებებზე. ვილჯა ვილ-
კის მოადრება. ამ საწყაროში ხშირია შინაგანი მარ-
ტობა. შედნიერება კი დროებითადა და პირობითი.
ბიძრად წარსულში ტკივილს აყენებენ ერთმანეთს,
თანაც ისეთი, რომლის დაგვიწყებაც შეუძლებელია.
კარგ განზრახვას კი კატასტროფამდე მივყავართ.
„ზამთრის იდილიაში“ ორკმირის ქაბობის სახლო-
რეს მდებარე სახლში მცხოვრებ 2 წლის გოგონას
რემეტიკური წარმოსახვას უფითავენ. ათწლეულის
(ან მეტის) გასვლის შემდეგ, რემეტიკური იხვე უკან
ბრუნდება, ოღონდ ამჯერად კარტოგრაფია, დო-
ჯახებული და ორი შეილი ჰყავს. მარტოხილა ქალი
კი მოზაღვლის გარდაცვალების შემდეგ ფერის მო-
ვლითა დაკავებული. კაცი პერიოდულად სტუმრობს
მას. მიდის, ბრუნდება, რჩება, ყოყმანობს, იმდენ უც-
რატებს ორივე ქალს და სამუდამოდ უწინარდება. მას
არ სურს ტყუა, თუმცა ქალებს სწორედ ტკივილის
არ მიყენებით სტეკის და ქორწინებაც საბოლოოდ
სრულდება. პარალელურად, მუშებს საკუთარი დამ-
საქმებელი ჩუმად ებრალებათ, თუმცა ქალს არ შე-
უძლია იმის ასხსნა, თუ როგორ შეიძლება გაგაძე-
დეს სიყვარული კაცის გარეშე, მოუხედავად იმისა,
რომ ის იქ უკვე აღარ დაბრუნდება სწორედ მისი გა-
უწინარების გამო. ქალის სიყვარული „არ დაჰყენ-
ბა... არც ხანგრძლივი, ნელი სიკვდილი უქურბა და
არც სტანდარტული სიყვარული“. მართალია, ეს გვე-
ლადერთი რომანტიკის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმ-
ცა რეალურად საინდევ არჩევანს სთავაზობს: სიყ-
ვარულის მიღებას და მის ტრანსფორმაციას ძალიან



ჩვეულებრივ, ტრივიალურ გრძნობად, მეორე მხრივ კი სიყვარულზე უარის თქმას და ამ მდგომარეობის მუდმივობას.

და მაინც, სიტყვა „არჩენიანი“ ნების თავისუფლებაა ცულისხმობს. ტრევიორის პერსონაჟები ძალიან იმეითად ირჩევენ იმას, რაც ემართებათ. ცხოვრება ირჩევს მათ მაგივრად. ის, რაც მათ სურთ ან გრძნობენ, რომ სურთ, არანაირ ზეგავლენას არ ახდენს იმაზე, რასაც იღებენ. და თუ აზრდენს, ისიც მხოლოდ მოკლევადიანი, ილუზორული დროის პერიოდში. ამის შემდეგ, ისევე ემოციური თვალსაზრისით, გარიყულები ხდებიან და უნვით არარსებულ ურთიერთობებსა და მესხიერების საეჭვო თავდაჯერებულობაზე დაკვირვება. არსებობს აგრეთვე იდენტობის და გარკვეული ფუნქციების მოუხელთებლობა - გადაღაბა რომ სჭირდება. სურათების რესტავრატორი, რომელსაც ამნეზიური შეტევები ანუხებებს, საკუთარ ქალაქში უმიზნოდ დახეტიალობს, „პოლონელ მხატვართა“ მოგზაური წყვილი რეალურად სულ სხვა გილაც აღმოჩნდება. მამის მიერ გაზრდილი ქალიშვილი, რომელსაც გაუჩინარებული დედამისი გაზრდაცვლილი პგონია, რეალურად სულ სხვა წარწამავლობის აღმოჩნდება. ტრევიორის პერსონაჟები უმეტესწილად მარტოხელეები, მარტოსულები ან გაზმარტოვებულები არიან, ურთიერთობის პერიოდშიც

კი. შესაბამისად, ყოველ ნაბიჯზე გაწყდებით ეჭვებსა და ბუნდოვანებას: ინვინენ თუ არა ისინი ერთად? ეს უფრო უბედური შემთხვევა იყო, თუ თვითმკვლელობა? რაში მდგომარეობს რეალურად მათი დანაშაულისა და პასუხისმგებლობის არსი?

ტრევიორის პროზა საესეა ზუსტი მოუხელთებლობითა და მოუხელთებელი სიზუსტით.

როგორც ვ.ს. პრიტჩეტი წერს ანტონ ჩეხოვზე, ის „ყველა წინააღმდეგობას მოიცავს“.

ავიღოთ, მაგალითად, კრებულის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოთხრობა „ქალბატონი კრასტორპი“, რომელიც 22 გვერდიანია და ამბავი ორი პერსონაჟის ცხოვრებას გადაკვეთს - ეს ტრევიორისეული ხრიკია!

მოთხრობა საკუთარი ქმრის დაკრძალვაზე მყოფი მთავარი პერსონაჟის, ე.წ. „მარტოსული მგლოვიარის“ ისტორიით იწყება, თუმცა უჩვეულოა ის, რომ ქალბატონი კრასტორპი ეწინააღმდეგება თავის მარტოობას და არ სურს იმის აღიარება, რომ მისი ცხოვრება დასრულდა. იგი საკუთარ თავს „ვარდის მუდმივ კოკონს“ ადარებს და გადამწყვეტს, რომ საკუთარი ქვრივობით „დატკბეს“.

მოწვევებითად ილუზიანი ცხოვრების პერიოდში, მან თავისი ასაკის 14 წელი მოიკლო და არავის არ გაუმხილა უკანონო (თან კრიმინალი და ნასამარ-

ოლეგი) ვაჟის ამბავი. არც ქორწინების პერიოდში გამეწილი საყვარლების შესახებ უთქვამს რამე.

პარალელურად, ლონდონის სხვა მხარეს მცხოვრები მამედავი, სახელად ეტერიკი თავის მომავლედ ცოლს უწლის. სიკვდილის შემდეგ კი საცხოვრებლად რიჯენსტ პარკს გადადის. ერთ დღესაც, გზაზე ქალბატონი კრასტორპი იმ გზის მიმართულებას ეკითხება, რომელიც რეალურად არც არსებობს. ეს კიდევ ერთი თვალთმაქცობაა – გათვლილი თავაზიანი ინგლისელის შესაყოფნებლად და მისი ყურადღების მისაპყრობად, რომელიც, რასაკვირველია, კრასტორპის დახმარებას შეეცდება. ეს ის ილეთია, რომელიც ადრევე წერია.

რატომღაც გვგონია, რომ შეგვიძლია იმის გამოცნობა, საითკენ წავა ამბავი, ყოველ შემთხვევაში, სხვა გზით. ქალი, თავისი სიცოცხლისუნარიანი და მიმოიხედული ბუნების წყალობით, ალბათ, შეიძლება კაცის დასნაძნის მსუხარებისგან, მიიზიდვას და მასზე დამოკიდებულს სექსუალური კოჰიზიტი მანაც გახდის. კაცი იქამდე ვერ შეძლებს ქალბატონი კრასტორპის ქვეშაობით ბუნების ამოცნობას, ვიდრე ძალიან გვიანი არ იქნება, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი, ქალი მაინც მოახერხებს ეტერიკის გაჩენიერებას.

თუმცა ეს არ არის ტრეგორიის სტილი. არ არის ეს ცხოვრების ტრეგორიული ეპიკა. გარკვეული ხნის შემდეგ, ეტერიკი კავშირს ზის მხოლოდ იმიტომ, რომ იქვე, მაგიდასთან ქალბატონი კრასტორპი აღმოჩნდა, რომელიც თითქმის, ნაწილობრივ ცნობის მას. ქალი ერთდროულად მიმოიხედული და დახვეწილია და, შესაბამისად, იყენებს კიდევ თავის შარმსა და საკომუნიკაციო უნარებს, რაც წარსულში ჩვეულებრივსამებრ წერია. იცის ამ ქალმა მიიმეხების ისეთი გზები, რომ თითქმის გაცილებით უკეთ იცნობენ ერთმანეთს, ვიდრე პკონიათ. იმ დროს, როცა კავშირში სხედან, ქალბატონი კრასტორპი ფიქრობს ამ „მიმოიხედულ ეპიკაზე, რომლის შეცვარებაც ცოტათი მაინც შეძლო“.

რასაკვირველია, მკითხველი გულსრრევისმაგვარ ფორიას გრძნობს ეტერიკის მიმართ, თუმცა ეტერიკი საერთოდ არ არის მოხიბლული, უფრო პირიქით. აკვირდება კიდევ უაზროდ მოლაქლამე ქალბატონ კრასტორპს და ვერ გაურკვევია, მთერალია თუ არა. ქალი არ არის სულელი, უფრო სწორად, აცნობიერებს იმ მომენტს, როცა მისი მთავარი ტაქტიკა არ ყრის. „შეკარად არ გვაქვს საერთო გემოვნება, თუმცა თუ ოდესმე მოისურვებ ერთმანეთის უკეთ გაეცნობას...“ – ამბობს და საკუთარ მისამართს უწერს.

და მაინც, შესაძლოა, სხვა მწერლის ხელში ეტერიკი ამ სიტუაციაშივე დარწმუნდეს (რაც, დსევნდ ტრეგორისეული მეთოდი იქნებოდა), თანაც ორპროვანი დასასრულით: შეძლებდა, ასე თუ ისე, საკუთარი მარტოობის პირობებში ეტერიკი დანებება? მაგრამ ეს ხომ ტრეგორია! ამბავი, ნაწილობრივ, მსუხარებათა შედარებასაც გულისხმობს: იმ დროს, როცა ქალბატონი კრასტორპი, როგორც ჩანს, საკუთარი „ქვერდობის სიამოვნებით“ ეპაოვდებდა, ეტერიკი მხოლოდ ამ მდგომარეობის გაუთვითცნობიერებელ მსუხარებას გრძნობს და ასევე, ახანგრძლივ მრისხანებას სიკვდილის დაუდევარი სიხარბის გამო“. როცა, მრავალი წლის შემდეგ, მისი მზე-

ვი“, ამიტომ მივმართე რუსთაველის „ჭვირს“ (რა-
მეში გამოტანებული სხივი).

მზე ჩადის

* პაერში უკვე აღთქმა ღუის - (დედანშია: Verheilung ist in der Luft ანუ აღთქმა ჰგეის ჰაერში, მაგრამ ბუქვალურ თარგმანში დაიკარგებოდა Verheilung-ში პარანომაზიულად კოდირებული heiß ანუ „მზურვალე“). „ღუის“ იგივეა, რაც „გამოსჩანს“, „გამოს-ჭვივის“, ანუ დიახაც - ჰგეის; მეტიც, სწორედ Verheilung-ით გათამაშებული ნიჭშეს სათქმელის და სულსკვეთების გამომთქმელია: დრო დამნიფდა, ჰეიგის, სიგრძელ სიმზურვალეს უბრალოდ კი არ უნდა მოენაცვლოს ან ჩაენაცვლოს, არამედ მისგან უნდა იშვას და მისგანვე გამომზურვდეს. იხ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ ზმნის საილუსტრაციო ნიმუშები: „მზე წითლად-ყვითლად... დღოდა მთის წვერისკენ გადახრილი“ (ილია) და „ყურჩენი დამნიფებულა, დახე, როგორ წითლად ღუისი.“ (რ. ერისთ.), ასევე დიალექტური „წითლად ღულილი ყურჩისა“.

* ახლორე - ანუ „ახლოს, მეტად ახლოს“ (ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, თბილისი, საქ. საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008).

არიადნეს მოთქმა

* მომეგებოდე (...) მომელეობდე - მე-6 სტროფის მე-8 სტრიქონში მხოლოდითი უკვე მხოთხედ გაემორთოდე ვიხ-ის შერე (რაც, თავის მხრივ, პირველი სტროფის მე-2 და მე-3 სტრიქონებში საბიზნე ჯგუფის მიმართ ნარმოთქმული მრავლობითი gebt-ის კონტრარული და დიონისესადმი დრამატული ეკანხის გახსხხელი მიმართულებით), მე-12 სტრიქონის - gib, ja ergib, - ქართულად თარგმნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუ ზმნა geben-ისა და, მით უმეტეს, მისგან ნაწარმოები ergeben-ის არა მხოლოდ უდაზნავრად გათამაშებას მოვიგებოდე, არამედ მე-14 სტრიქონისეული dich-ის გადარჩენასაც ჩავიფქვრებთ და „შენს თავს“ -ზე უარს ვიტყვით. ergeben-ში რამდენიმე არსებითი კოდი იყრის თავს და ყველა მათგანი ნიჭშეს ამ ლექსის საკვანძო კონცეპტთან არის დაკავშირებული, კერძოდ - გამოვლენა, ჩვენება, გამოზინარეობა, დამორჩილება, დაწებება, თავის სრულად მიძღვნა. ძველქართული „ლება“, სხვა სიტყვითან შედარებით, საუკეთესოდ იხარჩუნებს ergeben-ის მნიშვნელობების დიდ ნაწილს მაშინ, როცა შესაძარჩუნებელი მნიშვნელობების და კონტრაციების ამ მძიმე ტვირთს „მომეგებოდე“ ინახილტეს.

* ერთადერთი ჩემი მოყვასი - mein einziger Genos - ქართულ „ამაზნავს“, რომელიც ეტიმოლოგიურად „ხანავა“-ს ანუ „ომლების საკრებულო სახლს“ (საბა) და იქ თავმოყრილ თანაობლების ერთობას უკავშირდება, თითქმის არაფერი აქვს საერთო გერმანულ „Genos“-თან, რომელიც ძველი გრიმების ლექსიკონში „wertvolles und lehrreiches altes wort“-ად იწოდება და რომლის ისტორიულ-ექსისტენციალურ თავგადასავალსაც გრიმები განსაკუთრებული ტკობით აღწერენ (აქვე შევნიშნათ, რომ ამ ლექსიკონისგან მოწყვეტითი ნიჭშეს პოეტური თუ პროზაული ტექსტების თარგმნა ნებისმიერ მთარგმნელს

უპირობო ნარუმატებლობას ჰპირდება). ეს სიტყვა, თავისი უმდიდრესი სინქრონულ-დიაქრონული კონოტაციებით, მნიშარსობრივად სწორედ „მოყვასს“ შეესატყვისება.

დიდება და მარადისობა

* ბასილისკოს კვერცხს გამომიჩეკავ - იხ. ესაია 59:5: „ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და აობობს აბლაბუდას ქსოვენ; მათი კვერცხების მჭამელი კვედება და, თუ გატყუდა, უნასი იჩეკება“. ლუთერის ბიბლიაში არის არა Natter, არამედ - ბასილისკო: „brühen Basilisken eyer / vnd wircken Spinneweb“ (1540 წლის გამოცემა). ბასილისკოს, სწორედ იმის გამო, რომ ის „თვალთი დაკეცილებული მუცლია“ (საბა), ტექსტის გასაგებად არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე - წინდა წერილთან ამ და სხვა უმარავი პასაჟის დაილოცა.

* თუმც უტყბ, ელვა, / ნათელი და საზარელი, / უფსკრულიდან ცისკენ ნამეხი - aber plötzlich, ein Blitz, / hell, furchtbar, ein Schlag - რა თქმა უნდა, Blitz (ელვა)-ისა და Schlag (დარტყმა, ქუხილი, ჭექა)-ის დაწყვილება შემთხვევითი არ არის, მათი გაერთიანებით Blitzschlag („მეხი“) მიიღება, აქედან - ჩვენი „ელვა“ და „ნამეხი“ (და არა „ნაქუხი“ ან „ნაჭყეი“).

* ელისი სხივი - Blitzstrahl - ეს სიტყვა, გრიმების ლექსიკონზე დაყრდნობით, შეიძლება თარგმნილიყო, როგორც „ელვის ისარი“, მაგრამ, ჯერ ერთი, „ისარი“ (Pfeil) დიოთირამბების ციკლში სამჯერ არის ნახსენები და სამჯერ - ურთიერთგანსხვავებული მეტაფორული დავტირთვით, გიორგე, „სიხვი“ ნიჭშესთან კონცეპტუალურიზებული სიტყვად, რომელიც კონოტაციების ნოვლ ბადეს ქსოვს.

* რომელსაც ვერცრა ნატკრა მისწვდება - დედანშია Wunsch (სურვილი, სურვება) და არა „ნატკრა“, მაგრამ კონტექსტუალურად „ნატკრა“ და „სურვილი“ აქ ერთმანეთს ემთხვევა. საქმე ის არის, რომ ერთმანეთისგან როგორმე უნდა გამეიჯვნა „სურვილი“, როგორც ამ კონკრეტულ კონტექსტში „ნატკრა-იცნების“ იდენტური „Wunsch“ და „სურვილი“, როგორც „wollen“ („ნდომა“, „ნებება“), რომლითაც დავტირთვლია ლექსის მეორე თავი და რომელიც ნიჭშეს ფილოსოფიაში მისი მასწავლებლის, შოპენაუერის, ფილოსოფიიდან გადმოღული ცენტრალური კონცეპტია. მართალია, „Wille“ (ნება) ქართულად „ნებად“ უნდა ითარგმნოს, მაგრამ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, რომ wollen ყოველთვის ითარგმნოს, როგორც „ნდომა“ და „ნებება“. ნიჭშეს ფილოსოფიურ პროზაშიც და პოეზიაშიც ხშირად კონტექსტუალურად უდაზნავრად ხერხდება „ნების“ ჩანაცვლება „სურვილით“. ამიტომ ვთარგმნეთ მე-2 თავის მე-2 სტროფის პირველი სტრიქონი „Wer will bezahlt sein?“ როგორც - „ვის სურს, რომ ყიოს გადახდილი?“, მე-2 თავის მე-3 სტროფის პირველი სტრიქონი „Willst du sie kaufen?“ როგორც - „მათი ყიდვა გსურს?“ და მამვე თავის მე-5 სტროფის მე-2 სტრიქონი „Will ich schuldig sein“ როგორც - „მსურს (...) მოვალე ვიყო“.

ნიკოლა დე შამფორი

მაქსიმები და ფიქრები, ხასიათები და ანექდოტები

ფრანგულიდან თარგმნა ნიკოლოზ აგლაძემ



სებასტიან-რომ ნიკოლა, რომელმაც აიღო ფსევდონიმი - დე შამფორი, აბსოლუტიზმის დასასრულისა და დიდი რევოლუციის პერიოდის მწერალი, პოეტი და ჟურნალისტი იყო. მონარქისტულ საფრანგეთში ის, პირველ რიგში, დრამატურგად მიიჩნეოდა; მხარი დაუჭირა რევოლუციას, ესწრებოდა ფიცის ბურთის სათამაშო დარბაზში და იყო იაკობინელთა კლუბის წევრი. „დიდი ტერორის“ პერიოდში დაპატიმრეს ცრულ დასმენით, შემდეგ გამოუშვეს, მაგრამ მუდმივი მეთვალყურეობის პირობით. სცადა თვითმკვლელობა, გადაარჩინეს და ძალიან დასუსტებული გარდაიცვალა 1794 წლის 13 აპრილს. მისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებიდან დღეს მხოლოდ „მაქსიმები და ფიქრები, ხასიათები და ანექდოტები“ იპყრობს მკითხველის ყურადღებას, როგორც ერთგვარი პორტრეტი რევოლუციამდე-ლი საფრანგეთისა. მწარე იუმორით, რეჟიმის მიუღებლობითა და გონებაშაზვილური შენიშვნებით გაჯერებული ეს ნაწარმოები მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1795 წელს დაიბეჭდა.

- ჩვენმა საუკუნემ რვა დიდი კომედიანტი ქალი ჰყავს: ოთხი თეატრში და ოთხი საზოგადოებაში მოღვაწეობს. პირველი ოთხი არიან: მადმუაზელ დ'ანჟევილი, მადმუაზელ დიუმენილი, მადმუაზელ კლერონი და მადმუაზელ სენტ-უბერტი; სხვა ოთხი - მაღამ მონტესონი, მაღამ დე ჟანლი, მაღამ ნეკერი და მაღამ დ'ანჟილი.

- მა... მეუბნებოდა: „თავი ისე შევიზღუდე, რომ ღველა სიამოვნებას ჩემში ვეძებ, მხოლოდ გონების აჯარჯილობებში. ადამიანის ტვინში ბუნებამ მოათავსა ნათქვამად წოდებული პატარა ჯირკვალი, რომელიც სარკის როლს ასრულებს; მისი გამოიხსობით, მეტ-ნაკლები წარმადებით, შემცირებულსა თუ გაზრდილს, სრულად თუ ხანალობრივ,

სამყაროს ყველა ობიექტს და საკუთარი ფიქრის ნაყოფსაც კი წარმოვისახავთ. ადამიანი მფლობელია ამ ჯადოსნური ფარნის, რომლის შუქზე გათამაშებული სცენების მონაწილეცაა და მაყურებელიც. ესაა საკუთრივ ადამიანი, აქაა მისი საუფლოს საზღვარი: ამას იქით ყოველივე მისთვის უცხოა.“

- „დღეს, 1782 წლის 15 მარტს, - მეუბნებოდა ბატონი დე... - იშვიათი ყაიდის კეთილი საქმე ჩავიდინე. მე ვახუგეშე კაცი პატიოსანი, სიძველით აღსავსე, ათასი ლიური რენტით ხელდამშვენებული, სახელოვანი, ჭკუით განთქმული, სრულიად ჯანმრთელი, და ა. შ.; მე, ღარიბმა, უთვისტომომ და სწულმა.“

- ცნობილია ფანატიკური სიტყვა, რომელიც დოლის ეპისკოპოსმა მეფის წინაშე პროტესტანტების დაპირებების საკითხთან დაკავშირებით წარმოუტანა. მან მთელი სამღვდლოების სახელით ისაუბრა. როდესაც სენ-პოლის არქიეპისკოპოსმა პკითხა, თუ რატომ ისაუბრა თანამომღებების სახელით ისე, რომ არც კი დაეკითხა, მან მიუგო: „მე და-ვეთხოვე ჩემს ჯვარს“. ასეთ შემთხვევაში, - თქვა სენ-პოლის არქიეპისკოპოსმა - „ზუსტად უნდა გა-გემორებინათ ის, რაც თქვენმა ჯვარმა გიპასუ-ბათ“.

- დადასტურებული ფაქტია, რომ ჩვენმა ქალ-ბატონმა, მეფის ქალიშვილმა, ერთ-ერთ თავის მო-ნასთან თანაშისას მას ხელზე დახედა, თითები დათვალა, შემდეგ გაკვირვებულმა წარმოთქვა: „როგორ, თქვენც ჩემსავით ხუთი თითი გაქვთ?“ და კიდევ ერთხელ დაითვალა თითები, რათა საბო-ლოდ დარწმუნებულიყო.

-მარშალმა რიჩელემ ლუი XV-ს ერთი დიდგვა-როვანი ქალბატონი - ალარ მახსოვს, რომელი - საყვარლად შესთავაზა. მეფე უარზე იყო და ასხნა, რომ შემდეგ მისი თავიდან მოშორება ზედმეტად ძვირი დაუჯდებოდა.

- ბატონმა ტრესანმა 1738 წელს შეთხზა ბატო-ნი ნივერნუას პერცოგის განმაქიქებელი კუმლე-ტები. 1780 წელს ის აკადემიაში არჩევის ლამობდა და ამ მიზნით სურია ბატონი ნივერნუას პერცოგს, რომელმაც სულმართ მიშენივრად მიიღო, ბოლო ნაწარმოებების წარმატება მიუღოცა, იმდებრით აღაგზო და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბატონი ტრე-სანი ის-ის იყო ეტლში უნდა ჩამჯდარიყო, მიმარ-თა: „შევიდობით, ბატონო გარგო, გილოცავთ, მესხიერების საბოლოოდ დაკარგვას“.

- მარშალი დე ბირონი მიძიდვ დასწრულა და აღსაბრების თქმა უნდოდა; მეგობრების თანდას-წრებით დაიწყო: „ჩემი ვალია ღვთის წინაშე, ჩემი ვალია მეფის წინაშე, ჩემი ვალია სამშობლოს წინა-შე“... „მოკეტე - გაანწყვეტინა ერთ-ერთმა მეგო-ბარმა - თორემ ვალაუვალ მეველემ მოკვებში“.

- დიუკელა აკადემიის სხდომებზე ხშირად წარ-მოთქვამდა: „მძ...“, „სი...“; აბატმა რენელმა, რო-მელსაც გრძელი ფიგურის გამო დიდი, უგესლო გველად მოიხსენიებდნენ, ერთხელ უთხრა: „ბატო-ნი ჩემო, უწყნად, რომ აკადემიაში მხოლოდ ისე-თი სიტყვების წარმოთქმა დასაშვებია, რომლებიც ლექსიკონში მოიძებნება“.

- ბატონი დე ლ... თავის მეგობარს, ბატონ დე ბ...ს, ფრჩად პატივსაცემ, მაგრამ დაუფასებელ კაცს, უყვებოდა მასზე საზოგადოებაში გავრცელე-ბული ჭორებისა და მითქმა-მოთქმის შესახებ. დე ბ...-მ კი ციკად მოუჭრა: „სწორედაც დედენადელ საზოგადოებას, ამ პირუტყვსა და გაიძერას, თუ ეკადრება ჩემი ყადის კაცის განსჯა“.

- მ... მეუბნებოდა: ყველა ქვეყნის ქალებს ვიც-ნობ; იტალიელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია დარ-

წმუნებული სატრფოს გრწნობებში, თუკი საყვარე-ლი მზადბა მის გამო დანაშაულის ჩასადენად; ინ-გლისელი - სიგიჟის, ხოლო ფრანგი - სისულელის“.

- დიუკელა ამბობდა ერთი უკანასკნელი გაიძ-ვერას შესახებ: „სახელი ვაფურთხებთ, ფურთხის ფეხით ვახოცავთ და ის მადლობას გვიხდის“.

- დ...ალამბერი, უკვე საყოველთაოდ განთქმე-ლი, ესტუმრა მადამ დიუ დეფანს, რომელთანაც ასევე იყვნენ ბატონი პრეზიდენტი ენო და ბატონი დე პონ-დე-ვეილი. მოვიდა ექიმი, გვარად ფურნიე, რომელმაც შემოსვლისას მიმართა ქალბატონ დიუ დეფანს: „ბედნიერი ვარ, რადგან შემიღია დაგი-დასტურეთ ჩემი ღრად მოკრძალებული პატარის-ცემა“; შემდეგ ბატონ პრეზიდენტ ენოს: „ჩემო ბატონო, მაქვს პატივი მოგაგებოთ სალაში“; შემ-დეგ ბატონ დე პონ-დე-ვეილს: „ჩემო ბატონო, თქვენს მონა-მორჩილად მიგულეთ“; და ბოლოს დ...ალამბერს: „გამარჯობა, ბატონო“.

- აერთი კაცი უკვე ოცდაათი წელია სალამოებს ქალბატონ დე ...-სთან ატარებდა. მისი მეუღლე გარდაიცვალა; ყველა ფიქრობდა, რომ ქალბატონ დე ...-ს მოიყვანდა ცოლად და ამას მოუწოდებდა კიდევ. მან კი უთარა: „ასეთ შემთხვევაში, აღარ მე-ცოდინება სად გვაგატრო სალამოები“.

- ქალბატონი ტამსენი, ნატიფი მანერების, მაგ-რამ უპრინციპო და ამ გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობით, ყველაფერზე ნაშესტელი ქალი იყო. ერთხელ, როდესაც მის დახვეწილობას აქებ-დნენ, აბატმა ტრულებმ თქვა: „ნამდვილად, თუკი ის თქვენს მონამვლას გადამწყვეტს, დარწმუნე-ბული იყავით, ყველაზე ტკბილ მამს შეარჩევს“.

- ბატონმა ბროკლიმ, რომელიც მხოლოდ მხედ-რული დიდების წინაშე იხრიდა ქედს, ერთ დღეს თქვა: „ამ ვოლტერს, ყველა რომ ადიდებს, მე კი დი-დად არაფრად ვაგდებ, ერთი ლამაზი პნკარი მაინც ქვინა: „გამართლებია ომში მას, ვინც პირველად გახდა მეფე“.

- მ...-ის ერთი ნაწარმოებთან დაკავშირებული მოსაზრება სადავო გახადეს და უმტკიცებდნენ, რომ უბღლიკა ამ საკითხზე განსხვავებულად მსჯე-ლობს. „უბღლიკა! უბღლიკა! - თქვა მან - რამდენი ბეცია საქმარისი, რომ უბღლიკა ვუნოდიოთ?“

- ბატონი დე არფანსონი ბატონ სეზურის გრაფს, თავისი ცოლის საყვარელს, ეუბნებოდა: „ზედმი-წენით ორი თანამედრობა შეგეფერებათ: ბასტი-ლიის ან ინგალიდების სასახლის მმართველისა. თუ ბასტილიაში დაგინიშავი, ყველა იტყვის, რომ იქ მე გაგაცზავნეთ, ხოლო თუ ინგალიდებში - ყველა იფიქრებს, რომ ეს ჩემი ცოლის ნახვლია“.

- არსებობს მედალი, რომელსაც პრინცი კონ-დე, მისი თქმით, ფლობად და რომლის დაკარგვა-საც ძალიან ნაწიბდა. მედლის ერთ მხარეს ლუი XIII იყო გამოსახული, ჩვეული წარწერით: Rex Franc, et Nav. I, მეორე მხარეს - კარდინალი რიშელიე, გარშემო კი სიტყვები: Nil sine consilio“.

1 საურანგეთისა და ნაყარას მეფე (ლათ.)

2 არაფერი რჩევის გარეშე (ლათ)

- მას შემდეგ, რაც მ...-მა წაიკითხა წმინდა ჟერომის წერილი - რომელშიც ეს უკანასკნელი ძალას არ იშურებდა თავისი ვნებების სრულად წარმოსაჩენად - თქვა: „მისი საცთური სურვილს ბევრად მეტად აღმიძრავს, ვიდრე მისი მონანიება - მოსი“.

- მ... ამბობდა: „ქალეზში კარგი მხოლოდ ისაა, რაც საუკეთესო აქვთ“.

- ქალბატონი პრინცესა დე მარსანი, ახლა ესოდენ ღვთისმოსავი, ადრე ბატონ დე ბისისთან ერთად ცხოვრობდა. მან პატარა სახლი უქირავა პლიუმეს ქუჩაზე, იქ ერთხელ ისეთ დროს მივიდა, როდესაც ბატონი დე ბისი მეძავებთან ერთობოდა და კარი არ გაუღო. ეტლის გარშემო სევრის ქუჩის ხილით მოგვარეები შეიკრიბნენ და უთხრეს: „წამდვილი ბოროტებაა არ შეუშვა პრინცესა იმ სახლის ზღუდრულზე, რომლის ფულსაც თავად იხდის და ამ დროს იქ ვახშმით ლამაზ გოგონებს გაუმასპინძლებ“.

- სასულიერო თანამდებობის მოსურნე ერთი კაცი ამბობდა: „სულის წარწყმედადაც რომ დაგიჯდეს, მღვდლად უნდა ეკურთხო“.

- ერთი კაცი თავით ფეხებამდე შავით იყო მოსილი: დიდი პლერეზები, შავი პარიკი, ჩამოგრძელებული სახე. მეგობარი შეჩედა და შეიცხადა: „ღმერთო ჩემო! რა დანაკარგი განგიცდიათ!“ - არანაირი დანაკარგი - მოუგო კაცმა - ერთი ისაა, რომ ამის შემდეგ ქვრივი ვარ.“

- ქალბატონი დე ბასონიერი, რომელიც მეფე სტანისლასის კარზე ცხოვრობდა, ბატონი დე ლაგლესიერის, მეფის კანცლერის, საყვარელი იყო. ერთ დღეს მეფე მას ესტუმრა და სცადა აღვირახსნილად მოჰყრობოდა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. „გრძელდება - თქვა სტანისლასმა - დანარჩენს ჩემი კანცლერი გეტყვით.“

- ადრე, სანამ საყმელს შეუდგებოდნენ, „სამეფო ღვებელს“ ჭრიდნენ. ერთხელ მეფედ ბატონი ფონტენელი აირჩიეს და რადგან ის არ ჩქარობდა დასაჯარზე მყოფათათვის მის წინ ჩადგმული მშვენიერი კერძის შეთავაზებას, ვიღაცამ მიმართა: „მეფეს ეგემერდომები ავიწყდება“. „აი, ასეთები ვართ ჩვენ, სხვები“, - მოუგო ფონტენელმა.

- დამოენის თაფდასხმამდე³ თხოვნითი დღით ადრე პროვანსელი ვაჭარი გავლით იყო ლიონიდან ექსპოზე კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქში, სადაც ერთ ფუნდუკში გაჩერდა. გვერდითი ოთახიდან, რომლისგანაც მის სამყოფელს მხოლოდ სიფრფხა კედელი ყოფდა, მან გაიგონა, რომ ვინმემ, გვარად დამიენმა მეფე უნდა მოკლას. ვაჭარი პარიზში მოდიოდა; ის ახალა ბატონ ბერიუსს, რომელიც ადგილზე ვერ დაიბრუნა, ბეროკვაწერილი, რომელშიც გაგონილი ამცნო, რამდენიმე აწმინდა დაბრუნდა და პირადადაც წარვდა ბატონი ბერიუს წინაშე. შემდეგ ვაჭარმა თავისი პროვინციისკენ გასწია და გზაში გაიგო დამიენის თაფდა-

ხმის ამბავი. ბერიუს მიხვდა, რომ ვაჭარი არ გაუგებდებოდა და მისი, ბერიუს, გამოჩენილი დადგენილება დღეუბანად, ამიტომ ლიონის გზაზე პოლიციისა და გვარდიის რაზმი გაგზავნა; ვაჭარი დაიჭირეს, პირი უარესს, პარიზში ჩამოიყვანეს და თავი უარეს ბასტილიაში, სადაც თვრამეტი წელი გაატარა. ბატონი დამიენმა, რომელიც 1775 წელს მრავალი ტუსადი დაიხსნა, აღფრთოვანების პირველ ნაშთი ვერ შეიკავა და ეს ამბავი ეყვანას მოსდო.

- ერთ მგრძნობიარე და სიყვარულში პატოსანს ახალგაზრდას ალვირასსილი მეგობრები აბუჯად იგდებდნენ, რადგან მისი სენტიმენტალურობა თვალში ეჩნებოდათ. ის კი, ჩვეული გულუბრყვილობით პასუხობდა: „განა ჩემი ბრალია, რომ მეტად მიყვარს ქალები, რომლებიც მიყვარს, ვიდრე ქალები, რომლებიც არ მიყვარს?“

- კარდინალმა დე როანმა, რომელიც ერთხელ ვენაში ელჩობისას ვალენის გამო დააკავეს, როგორც საფრანგეთის დიდმა მოძღვარმა⁴, ლოფონის დაბადების აღსანიშნად შალეფან პატომრები გაათავისუფლა. ერთმა კაცმა ციხის გარშემო შექმნილი აურზაურის მიზეზი იკითხა: მას უზახსებს, რომ ეს ბატონი კარდინალი დე როანის გამო ხდებოდა, რომელიც ამ დღეს შალეში იყო. „როგორ თუ, - ნრფელად გაიკვირვა კაცმა - ისიც დაიჭირეს?“

- ბატონი დე რაკეონი, რომლის მეუღლეს ფრიალ თავისუფალი ტყვეთი გამოიჩინა, თვეში ერთ ღამეს მის საძინებელში ატარებდა, რათა ცილის ორსულობის შემთხვევაში მითქმა-მოთქმა აეცილებინა თავიდან. ოთახის ის შემდეგი სიტყვებით ტროვდა: „მე ვალი მოვიხადე, ამის შემდეგ მთესველმა იკითხა.“

- ბატონი დე ..., რომელსაც მიიმე დარდი გამოჯანმრთელების საშუალებას არ აძლევდა, მუხუზებოდა: „ვინმეს ჩემთვის დავიწყების მფიხარი რომ ეჩვენებინა, სიჭაბუკის წყაროდ მომეჩვენებოდა“.

- ერთხელ საფრანგეთის აკადემიაში შემოწირულთა აგროვებდნენ; აღმოჩნდა, რომ ექვსფრანკიანი მონეტა, თუ ერთი ლუიდიორი აკლდებოდათ. ივარაუდეს, რომ სიხარბით განთქმული ერთ აკადემიკოსს თავისი წვლილი არ შეუტანია; ექვსფრანკიანი ორნმუზებოდა, რომ ფული დედო: „მაინ მგეროვებაზე პასუხისმგებელმა თქვა: „მე ეს არ მინახავს, მაგრამ თუქნი მჭერა“. ბატონმა ფონტენელმა კი ამოხურა კამათი სიტყვებით: „ნამ მამდილად ენახე, მაგრამ არ კი დავიჯერე“.

- აბატი მორე ესტუმრა კარდინალ დე ლა რონემის, რომელიც ახლახანს დაბრუნებულიყო სამღვდელთა კრებიდან და ცუდ გუნებაზე იყო. აბატმა უხასიათობის მიზეზი უკითხა. „მიზეზები საკმაოზე ბევრია, - მოუგო მორეცმა კარდინალმა: ერთი - რომ მომინია გაგმდლოდ ამ შეკრებას, რომელიც უარესად უმარად ვერ ჩაივლიდა; ამას გარდა, შეკრებაზე ქარბად იგნენ სამღვდელთ-

3 დამიენის თაფდასხმა - თაფდასხმა მსუფ ლუი XV-ზე, რომლის დროსაც დამიენმა მეფე დანიშნა დაქრა.

4 საფრანგეთის დიდი მოძღვარი - უნალდეს სასულიერო პირი საფრანგეთის სამეფო კარზე.

ბის აბატი დე ლა ლუზერნის მსგავსი ახალგაზრდა ნარმოადგენლები, რომლებსაც, წარმოიდგენით, არ სურთ დაქმნაყოფილდნენ არადამაჯერებელი არგუმენტებით.

- ახალგაზრდა და ლარიბი აბატი რენალი და-თანხმდა ყოველდღიურად მესის ჩატარებას ოც სუდ; როდესაც ის ცოტათი გამდიდრდა, თვის აბატი დე ლა რობისი დაუთმო, ისე რომ რვა სუთ მესიონ იტოვებდა; შემდეგ დე ლა პორტიცი წელში გაიმართა და მესა ქვე-ქირავნობით გადასცა აბატი დინუ-არს ისე, რომ რენალის წილს იქით, კიდევ ოთხი სუ რჩებოდა. ამგვარად, ამ უბედურ მესას, დაბეგრულს ორმაგად, აბატი დინუარისთვის მხოლოდ რვა სუთ შემოსავალი მოჰქონდა.

- სენ-ბროის ეპისკოპოსმა, მარი ტერეზიას საფლავთან წარმოქმულ სიტყვაში, პოლონიეთის გაყოფაზე საუბრისას, მარტივად აიცილა თავიდან უხერხულობა: „საფრანგეთი, - თქვა მან ისე, რომ იქამდე გაყოფა არც უხსენებია - მეც მასაითი მოვიტყევი და ამის შესახებაც კრინტს არ დავძრავ.“

- მილორდი მალბორო ერთ მეგობართან და დისპვილთან ერთად სანგარში იყო, რა დროსაც ზარბაზნის ჭურვმა ამ მეგობარს ტვინი გადახმევინა და შეხვედრით დისპვილის სახე დაფარა. ახალგაზრდა კაცმა შიშით უკან დაიხია. უშუალოდ მალბორო მას მიმართა: „მამა, ბატონო ჩემო, ხომ არცერთმა გაგაკვირვებ? - დიხს, - მიუგო ახალგაზრდამ და სახე მოიწმინდა - ნამდვილად მიკვირს, როგორ მოახერხა ამდენი ტვინის პატრონმა, ასე უარს საფრთხისათვის უმიზნოდ და უმიზეზოდ თავის შეშვრა.“

- მენის პერცოვინამ, რომელიც ბევრს ავადმყოფობდა, თავისი ექიმი დატუქსა: „განა სასჯელი არ არის, ამდენი შეზღუდვა რომ დამიწესონ და განმარტოვებთ ცხოვრებას მაიძულებთ? - მაგრამ თქვენს უდიდებულესობას სასახლეში 40 ადამიანი ახლავს! - მერე რა! განა არ იცით, რომ ირგვლივ ორმოცი, ან თუნდაც ორმოცდაათი კაცის ყოლა პრინცესასათვის განმარტოებას ნიშნავს?“

- როდესაც შარტრის პერცოვა გაიგო, რომ პერცოვინა დე ბურბონს, მის დას, ბატონმა არტუსს გრავმა შეურაცხყოფა მიაცენა, წარმოთქვა: „- რა ბედნიერებაა, არც მისი მამა ვიყო და არც ქმარი.“

- გარეგნულად ძლიერ შეუხედავი, მაგრამ ნათელი გონების პატრონი, ბატონი გრადი დე მირაბო, სასამართლოში თავს იცავდა მოხიბვლის მიზნით გატაცების ცრუ ბრალდებისაგან. „ბატონებო, - თქვა მან - მე მოხიბვლას მატარებენ; პასუხისა და თავდაცვის ნაცვლად, გათხოვთ, სასამართლოს მასალებს ჩემი პორტრეტი დაუერთოთ.“ კომისარმა ყური არ ათხოვა: „სულელი, - უთხრა მოსამართლემ - ბატონის სახეს შეხედე მაინც!“

- მ... მეუბნებოდა: „ჭეშმარიტი გრინობის შეუძლებლობამ მეც მაიძულა სიყვარული ისე აღმეკვა,

როგორც ყველას. ეს გზა კი, ჩემი მხრიდან, დიდ კომპრომის წარმოადგენდა: თითქოს კაცს სპექტაკლზე წასვლა უნდოდეს, იფიგენიას ბილეთი ვერ ეძლეოდა და „სახალისო ვარიეტეტი“ დაქმნაყოფილდეს.“

- ქალბატონი დე ბრიონი გრად დე შუაზელის გამო დამორჩა კარდინალ დე როანს, რომელიც მეტოქესთან კაშპორის განყვეტას სთხოვდა. მათ შორის ბოზოქარი სცენა გაიმართა, რომლის დასასრულსაც ქალბატონი კარდინალს ფანჯრიდან გადაგდებით დაემუქრა. „ჩემითაც შემძლია ჩავიდგე, - მიუგო მან - იმ გზით, რომლითაც ასე ხშირად ამოვდიოდი.“

- ბატონი გრაფი დე შუაზელი მეფე ლუი XV-სთან ბანქოს სათაშამოდ იყო, როდესაც თავისი გაძევების ამბავი შეიტყა. ბატონმა დე შოველენმა, რომელიც ასევე მონაწილეობდა იმ პარტიამი, განაცხადა, რომ თამაშს საკუთარი მენეჟერის გარეშე ვერ გაავრცელებდა. მეფემ ბატონ შოველენს უთხრა: „მკითხეთ, თუ სურს გაგრძელება“. მეფელენმა გაგზავნა წერილი მანტელუში და ბატონი შუაზელის თანხმობაც მიიღო. ერთი თვის თავზე, მეფემ მოიკითხა, თუ იყო დათვლილი იმ პარტიის შედეგები. „დიხს, - მიუგო შოველენმა - ბატონმა შუაზელმა სამი ათასი ლუიდორი მოიგო. - აჰ! როგორ გამახარეთ, - უთხრა მეფემ, - გაუგზავნეთ მოგებულთ თანხა, რაც შეიძლება სწრაფად.“

- „სიყვარული, - ამბობდა მ... - მხოლოდ ნატიფი სულით გამოჩენილთა თავშესაქცევს უნდა წარმოადგენდეს. როდესაც ხედავ, რომ გაუთლელი ბებრე სასიყვარულო საქმეში ერევა, მინდებოდა ეუთხრა: „სადაა, რომ ცხვირს ჰყოფთ?“ ყომარბაზობა, სუფრა და კარიერა - აი, თქვენი ჭეშმარიტი საქმე!“

- არ აქოთ ჩემთან ნ...-ის ხასიათი: ის უხეში და უტოვარი კაცია, რომელიც ცივ გონებას ისევე ყურდნობა, როგორც ბრინჯაოს ქანდაკება მარმარილოს პოსტამენტს.

- თუ იცით, - მეუბნებოდა ბატონი დე ..., - რატომ არის, რომ ფრანგები უფრო პატიოსნები არიან ახალგაზრდობაში, ასე, ოცდაათ წლამდე, ვიდრე ამ ასაკს გადაცილებულნი? იმიტომ, რომ სწორედ ამ ასაკში უნდა იხილოთ თავადი; იგივემ, რომ ჩვენში ან გრდელში ეხლა იყო, ან - ურო, რომ სრულად ნათელია, სენი, რომლითაც ერი იტანჯება, უკურნებელია. ახალგაზრდობი, იმ ძალის გავარით, თავისი პატრონის სადილს სხვა ძალეულობისაგან რომ იცავს; ოცდაათს გადაცილებულნი კი იმავე ძალეს, ოღონდ მას შემდეგ, რაც ამ სადილიდან თავის წილსაც იღებს.

- ქალბატონმა დე ბ...-მ, რაკი დიდი გავლენის მიუღწევად, ბატონ დე ...-ს, თავის საყვარელსა და ფრიად უმაქნის კაცს, ვერაფერი მოუხერხა, მას ცოლად გაჰყვა. საყვარლის სტატუსით ასეთ კაცს ვერ გამოაჩენ, ქმარი კი ნებისმიერი ივარგებს.

ანაბელ გახოკიძე

მოლო. დედა. თავშესაფარი.



„ნეტავ არსებობს კი სხვა მოთხოვნილებებიც, მშვიდად და წყნარად ხრწნის გარდა?“ - ამ კითხვას სვამს მოლო, სემუელ ბეკეტის ამავე სახელწოდების ნიგნის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომელიც დედის, მარადმოუღწეველი სამოთხის დაუსრულებელი ძიების თავგადა-აგადავლია გახლართული და არაადამიანური ჟინისა და მონდომების წყალობით, აბსოლუტურად ითრევს მკითხველს და აიძულებს მასთან ერთად ამ გრძელი და მტკივნეული გზის გაგზავლას, რომელიც დაცემით სრულდება. მოლოის მოგზაურობა, თუ მისი განმარტება საერთო-

დაც შესაძლებელია, არსებობამდელი მდგომარეობის მელანქოლია, არარსებობის სამოთხის ობსესიაა, რომელსაც ადამიანი დედის მუცლად ყოფნისას განიცდის და მისგან მოწყვეტის შემდეგ უიმედოდ ცდილობს სხვა ხორციელი სიამოვნებით მის იმიტირებას. ამ ფენომენს ფსიქოანალიტიკურ თეორიაში დაბადების ტრავმას უწოდებენ. პირველად დედობრივ წიაღში დაბრუნების თემით ბეკეტი ლონდონში იუნგის ლექციაზე დასწრების შემდეგ დაინტერესდა, სადაც მისმა ფსიქოანალიტიკოსმა - ვილფრედ ბიონმა წაიყვანა. მწერლის ბიოგრა-

ფები ხშირად იხსენებ, თუ როგორ ეტრფოდა და აღწერდა თავად ბეკეტი ემბრიონული, შემდგარი თვითის განცდას, ანუ იმას, ვინც შესაძლოა ყოფილიყო, თუმცა არასდროს დაბადებულა სრულად. როგორც ჩანს, მწერლის ამ უცნაურმა განცდამ „მოლონტი“ იჩინა თავი.

ცოტა რამ თუ მახსენდება იმაზე უფრო ქაოსური, რთული და დამაბნეველი, ვიდრე უცნობ მკითხველთან „მოლონის“ შესახებ საუბარია - რადგან მას, ვისაც ბეკეტის ეს მეტაფიციური ნამუშევარი ნაკითხული არ აქვს, თითქმის შეუძლებელია, აუხსნა და მოუყვე იმ ცხად შეგრძნებაზე, რომელიც ნიგნის პირველივე გვერდის ჩამთავრებისას იწყება გონებაში მოუსვენარი ჭიასავით გრეხას, რომ ტექსტი ფურცელზე არ სრულდება, არსებობს რაღაც მიღებული რეალობა ტექსტისა, რომელიც შენს, მკითხველის ცხოვრებასთან იკვეთება და მას უნებართვოდ ირეკლავს სრულიად უცნობ, „მოლონის“ სამყაროში.

ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ თითქოს არასდროს აღმოგიჩენია ის, რაც ასე ძალიან გამგანებს მოლონის, თითქოს არასდროს გიფიქრია საკუთარ ყოფიერებაზე, იმაზე, თუ რის მიღწევას ცდილობ, რით სრულდება დაუმთავრებელი გზის ჩამთავრების უინი - არასდროს არ გიგრძნია უმწეობა ასე სრულყოფილად, სანამ მოლონის არ შეხვედბოდი. „მოლონის“ არ ყვეს გმირები, რომელთაც მკითხველთა გულის მონადირება ან მათი აღტაცება, სიკეთით ავსება შეუძლია. პირიქით, „მოლონის“ სამყაროში ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ დატყეული და სასომხიდილია, უფრო მეტიც, ის სრულიად გაძარცვულია ყველა ინსტრუმენტისგან, რომ გაირთოს თავი, დაივინყოს საკუთარი უსუსურობა და უაზრობა. ის აბსოლუტურ მარტოობაშია საკუთარ თავთან. ეს მდგომარეობა იმდენად საზარელია, რომ მკითხველი თავდაპირველად კითხვის პროცესს საკუთარი თავისათვის სიმართლის დამტკიცების უინით თუ აგრძელებს - რომ ის არ ჰგავს მოლონის. თუმცა, სიმართლე ისაა, რომ რამდენადაც ცდილობ დამოუკიდებ ნიგნის უხეზ, ერთი შესხედვით, არადაზიანურ ზუენებას, უფრო და უფრო ნათელი ხდება ის მსგავსება, რომელიც მასთან გაკავშირებს - აბსოლუტური მარტოობის იდეის მელანქოლიით მონამულუი, თანდათანობით სრულად შეიზრდება ნიგნის ფურცლებში და მოლონისა და მორანის მოგზაურობის უცნაურ გზას მორჩილად შეუდგები. „მოლონ“ მის მკითხველს ჰგავს და სრულად აირეკლავს მას. დასერილი სარკეა, რომელიც, თუ ძალიან მოინდომებ და

სახეს სუფთად შემორჩენილი ნაწილისკენ მიუშვრ, მთლიან სურათსაც დაგანახებს.

თუმცა, ამ სიახლოვის განცდის მიღწევამდე, ბეკეტი ხშირად ცდის მისი მკითხველის ნდობას. მწერლის ცნობილი ტრილოგიის პირველი ნიგნი მიზანმიმართულად, თუმცა შეგრძნებით დონეზე სრულიად ორგანულად, აბიჯებს მოდერნისტული ლიტერატურის ჩარჩოებს, ანანევრებს თხრობას - ნარატივს ორ ტონაწილად ხლეჩს, რომლებიც ერთმანეთის კიდურებისმაგვარ წაგრძელოდ გიბნეწს. ორივე ნაწილი თავისთავად სრულია, თუმცა კომპოზიკაში კიდევ უფრო მრავლისმოქმელი. თითოეულ ნარატივს თავისი მიზნობელი და შემოქმედი ჰყავს, ორივე მათგანი - მოლონცა და მორანიც - თითქოს ანტიკური მოგზაურობის ბედისწერით არიან დასჯილნი. მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ იარონ ხორციელი დეგრადაციისა და სულიერი თვითგამორკვევის მიჯნაზე, შეუსვენებლად, შიმშილია და სიცოცხის მოუხედავად, მუცელზე ხოხვით განაგრძონ იმ ფსიქიკურ სივრცეში ნავიგაცია, რომელიც გამჭრიახადაა შეფარული ხმაურისა და ქალაქებისა და ტყეების ფასადებით. უნდა იარონ მანამ, სანამ გზა არ გაიმარჯვებს მათზე, სანამ გზაზე ყოფნა მათ სიცოცხლეს უშნაზებს. უნდა იარონ, იმიტომ რომ უძრავად ყოფნა შეგუებაა, შეგუება კი დამარცხებაზე უარესია. ან კი, როგორ შეიძლება გაჩერდე, როდესაც შორეული, ემბრიონული სამოთხე გეგულებს. მოუსვენრობა, რომელსაც მოლონ უმოქმედობისას განიცდის, ინფექციასავით ვრცელდება მკითხველზეც, რომელიც პირველივე გვერდიდან კონტექსტის გამორკვევის ამოცნობითაა დაკავებული. ეს ბეკეტის ერთ-ერთი ყველაზე გამომწვევი სტრატეგიული ხრიკია, რომელიც თანგავს მკითხველს - პირველი წინადადებადნე სრულად მონევეტილი რომაა კონტექსტს - და იძულებულს ხდის რამდენიმე ხანს დააყოვნოს მთხრობელთან ერთად, რათა გაიგოს, ვის ან რატომ ეძებს ის? ამ კითხვებზე მოპოვებული პასუხები ხშირად მოულოდნელად სხლტება ხელდან, ვინაიდან ერთილია ნარატორების შინაგან მონოლოგებსა და მათ რეალობას შორის ხაზის გაგლება - მიზნებიცა და მიზნებიც ისევე უეცრად იკარება „მოლონის“ სამყაროში, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება ხოლმე. დეკონსტრუირებული თხრობის პროწინების მუდმივი ჯაფის ფონზე, მკითხველი ყველაზე აქტიური თანაავტორია ამ ფსიქოანალიტიკური პაზლისა, რომლის ნაწილები ხშირად უმარტივესი, პანანა საგნე-

ბის უკანაა შემოღწეული, რომელსაც ხშირად ყურადღებანი მკითხველიც კი ვერ ამჩნევს. თუმცა, ერთი რამ დარწმუნებით ვიცი - წიგნის დასრულებისთანავე თითქმის ყველას დაუფლვება შეგრძნება, რომ სემუელ ბეკეტმა თავსატეხის (ცენტრალური ნაწილის) შექმნა-მოპირკეთება ჩვენს ნება-სურვილს მიანდო. სწორედ მკითხველი წყვეტს, „მოლო“ ოდაა ცხოვრება გაბნეული აბსურდული ხეტიალისა, თუ წარმატებით დასრულებული მიზანი თვითსრულყოფისა, დედაში გასხივოსნებული დაკარგული სიმშვიდის მოპოვებით.

„დედაქმნის ოთახში ვარ. ახლა მე ვცხოვრობ აქ. ოღონდ როგორ მოვხვდი, ეგ კი აღარ ვიცი“ - ასე იწყება წიგნის პირველი ნაწილი. მოლოის წარატყვი მთლიანადაა დაუფლებული დედასთან დაბრუნების მისწრაფებაზე, დედასთან ერთად, ერთიანად ყოფნის დაუოკებელ სურვილსა და ამ სურვილის შეუძლებლობისგან გამომწვევად ზიზღსა და უიმედობაზე.

რაც უფრო ვითარდება თბობს, მით უფრო ადვილი შესამჩნევია ხდება, რომ მოლოი დედისადმი იმ ტრადიციული კეთილგანწყობითა და მადლიერებით სულაც არ გამოირჩევა, რასაც ასე ძალიან ვართ „მიჩვეული“ დედის კულტის სამშობლოში. მოლოის თითოეული სიტყვა, არ აქვს მნიშვნელობა დედას ეხება ის, თუ ქუჩაში გაქცეული ძაღლს, თანაბარი ზიზღითა და აპათითაა გაუღენთილი, ზოგადად კი, ის იმდენად საზიზღრად გაუფილტრავი, წმინდა და გულისამრევია, თითქოს თავად მისი ქვეცნობიერი საუბრობდეს მის ნაცვლად. „ქალი, ვინც ამ ქვეყანას მომადლინა, თუ მასსიზობა არ მღალატობს, უკანაში დატანებული ხერხილდან“ - ასეთია დედის იდენტობა მოლოისათვის - ქალი, რომელმაც ეს საბოლოო, მტკივნეული ცხოვრება აჩუქა, საკუთარი შვილის გონებაში უსახელოდ არსებობს. სამართლად უნდა ვთქვათ, მოლოი ქალის სახელის გახსენებაზე სულაც არ წუხს, რადგან დედას მშვენიერი მეტსახელი შეურჩია - „დეზი“, იქნებ, როგორც დედა+ზიზღი, რომელიც მისივე გამოთვლებით, წესით, ახალშობილ მოლოის უნდა უდრიდეს. თუმცა მასთან დაბრუნების სრული შეუძლებელი და დაუძლეველია, რადგან მხოლოდ და მხოლოდ დედა ატარებს საკუთარ თავში არსებობამდელ სიმშვიდესა და სიზნუსს.

მომბელთან მიუღწევლობით დასჯილი მოლოი თითქოს დედისგან პირველადი მოწყვეტის ტრავმითაა შეპყრობილი, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში სახე იცვალა, გამაგრდა, დაჩირქდა, შურისძიებად გადაიქცა

და ყველაფერი, რაც კი, არათუ დედამისის, არამედ, ზოგადად, ქალის არსებობას მიანიშნებდა, შეაძულა. თითქოს ვერა და ვერ უპატიებია მისთვის, როგორ მოწყვტა ემბრიონულ სიმშვიდეს და აუარებელი ბინიერებით გამოტენილ სამყაროში აიძულა ყოფა-ცხოვრება: სიბრძნისათვის ბრძოლა, საქმლისათვის ნაგავსაყრელის ჩიჩქენა, არსებობისათვის ნეული კვდომა.

მოლოის უკანასკნელი მოგზაურობა დედასთან შესახვედრად ერთ ჩვეულებრივ დღეს იწყება: ზარების უეცარმა ხმამ მას 12 საათის დადგომა ამცნო და უეცრად გადაწყვიტა დედა მოენახულებინა, მაგრამ გაფიქრებისთანავე უეცრად უჩნდება სურვილი, იპოვოს რაიმე მიზეზი, რომელიც გაუფანტავს „დედისერთა ბავშვის ყველა სხვა საფიქრალს“ და გამგზავრებაზე დაუყოვნებლივ ხელს ააღებინებს - ცდილობს მოიხმოს უმწეო ბავშვის თვითშეგნება, რომ უკვე დიდი, გაიზარდა და დახმარება აღარ სჭირდება, რომ თავის თავზე, თავის სიკეთესა და ცხოვრებაზე პასუხისმგებელი თვითონაა. თუმცა შესაძლებელია საერთოდ კი დამოუკიდებლობის ბოროტებასთან შეჩვევა?

მოლოი ეჭვისა და ჭმუნვის კაცია, მთელს ცხოვრებას რომ აწონ-დანონვამი ატარებენ, საბოლოოდ კი ვერც მომავალს ირგებენ და ვერც ანწყობს. თუმცა, როგორც ჩვენც უამრავჯერ გამოგვიცდია, არჩევანის ილუზორულობის ამბავი, მოლოის შემოხვევაშიც ასეა, სხვა გზა არც არსადროს ჰქონია, ყველა ერთსა და იმავე საშრობო და სატანჯველ საკითხს შეეხებოდა - როგორ დაუბრუნდეს დედას. ამიტომაც, მისი ეჭვიანობაც მხოლოდ და მხოლოდ მამინ შეწყდება, როდესაც ის სანადელს მიაღწევს. როგორც სარტცელს მიჯაჭვული ავადმყოფი შეიგრძნობს თავის უეჭველ აღსასრულს, მოლოიც ინსტინქტურად ხვდება, სად უნდა ეძებოს საკუთარი ყოფიერების ნამალი.

მოლოის სძულს დედამისი, როგორც შემოქმედი და გამანადგურებელი მისი სიმშვიდისა. სიმშვიდისა, რომელიც მუცლად ყოფნის შემდეგ ცხოვრებაში აღარსად და აღარასადროს აღარ უგრძნია. საეჭვოა კი, საერთოდ აქვს კი რაიმე აზრი მის აქ, ამ მინაზე ძიებას, „სადაც ისე დავბორილივით, როგორც გაზაფხულამდე შემორჩენილი ხმელი ყოთილი“, სანამ სიცოცხლისა და კვდომის წრეებშია ან ჩაგვანაცვლებს. მოლოიც ასე უიმედოდ დაბორილობს ჯერ ქალაქიდან ქალაქში, შემდეგ კი, უცხო ქალის კალთას მეფარების გამო დანაშაულის გრძნობით დამძიმებული, ტყეის მიაშურებს.



დედის სიბოროტად ჩანს.

მოლოი ისევ და ისევ დაუსრულებელია.

ფიზიკურად სამეილოსნოს მოწყვეტილი, მთხრობლის სული, მისი ფსიქიკა ისევ და ისევ დედაში, მასთან ერთობაში თანაბრსობს, ამიტომაც მოლოისთვის დედის ძიება საკუთარი თავის სრულყოფის ერთადერთი შანსია: „ორ მიხრწნილ ბებრუხანას ვგავდით, ერთი და იმავე მოგონებებში ჩარჩენილები, ერთნაირად გულრძობები“ - თვითიფენტიფიკაცია იმდენად ძლიერია დედის სხეულთან, მის ასაკთან, რომ ადვილი შესაძლებელია, მოლოის დედას ცალკე იდენტობა არ აქვს. ისინი არიან ერთი, როგორც უნინ. მისი სხეული ტყეში მოგზაურობისას ნელ-ნელა კვდომას იწყებს.

საბოლოოდ, უკვე ხეიბარი შვილი უსასრულო დეგენერაციის გზას შეუდგება და დედის საძებნელად თავისი საყვარელი ყავარჯნით გაემართა, კვდომისათვის, არარსებობაში დასაბრუნებლად.

ერთი შეხედვით, ყოვლად ამაზრზენ, აბსურდული ნერებრუნვის ოდეს თან გასდევს უცნაურს შეფარული სინაზე, ისეთი, მხოლოდ დიდ ტკივილს რომ შეუძლია ადამიანის გულში დატოვოს ჭრილობის შეხორცების შემდეგ ფურცელზე კი მისი გადმოცემა კი ძალიან საირისკოა - უდიდესი შანსია ან ღვარძლად იქცეს, ან კიდევ უბრალო პათეტიკად. თუმცა ბეკეტმა მოახერხა ამ ტკივილის ფურცელზე არეკლა მისი წმინდა, შეურეველი სახით. ვინც კარგად იცნობს მწერლის ბიოგრაფიას, მას არ გაუჭირდება ამოიცნოს, თუ როგორ შეძლო მან ისეთი სპეციფიკური დედაქცელობის შექმნა, საჯაროდ, სხვისი თვალისათვის შემჩნევა რომ შეუძლებელია. ბეკეტმა დედასთან დაბრუნებისა და დაბადების ტრავმის იდეა ნიგნის პირველ ნაწილში ასახა, სადაც აღმაფართოვებელი სიფრთხილით შემალა საკუთარი ცხოვრების ანამნეზიც.

ბეკეტი, მსგავსად მოლოისა, გაჭირული ვამლივით შგავდა დედამის - მეის. ქალის თხელი, მაღალი აღნაგობა, ზღვისფერი, წყლიანი თვალები, ოქროსფერი თმა და სახასიათოდ მოკაუჭებული ცხვირი მემკვიდრეობით შევლეს შორის მხოლოდ სემუელს ერგო. შესაძლოა სწორედ აქედან დაეწყო მეის შვილის ცხოვრებით ცხოვრების ობსესია - იქნებ სემუელში საკუთარ განუხორციელებელ მიზნებსაც ხედავდა. რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, მეის ახალგაზრდა ბეკეტის შრომები მუდამ აღიზიანებდა, არაფრად არ აგდებდა მის ინტერესს ეწერა ის, რასაც წერდა. სემუელი, რომელიც ფინანსურად ოჯახზე იყო და-

მოკიდებული, გასაქცევს დუბლენში პარკებში პოულობდა, საიდანაც სახლში დაბრუნებას რამდენიმე დღე სულაც არ ჩქარობდა. ბეკეტმა რამდენიმე მტკივნეული სცენა გააცოცხლა მოლოის დახმარებით: მან საკუთარ პერსონასა და მის „დედობილს“ დაამარხებინა ძალი, რომელიც რეალურ ცხოვრებაში მეიმ სემის გარეშე დაფლა საკუთარ ბაღში, ლარჩსების ქვეშ. მოლოისვე ათქმევინა, რომ შეუძლებელია ოდესმე შვილი ჰყოლოდა - რადგან ვერასდროს წარმოედგინა, როგორ შეეძლო ეზრუნა საკმარისად სხვა ადამიანზე, თითქოს ის დედამისის მაგალითით ხელმძღვანელობდა. დედა-შვილის ურთიერთობა ერთიორად გაუარესდა, როდესაც სენი დედასთან მარტო დარჩა: მამის გარდაცვალების შემდეგ, ვატი მგლოვიარე დედის ნუგეშისმცემელი უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უცნაური სისწრაფით უარესდებოდა - რაც უფრო ბევრ დროს ატარებდა ის ქალთან, მით უფრო ეხუთებოდა პაერი. ბეკეტს სწორედ ამ პერიოდში დაეწყო შფოთვის მწვავე ნიშნები: პანიკური შეტევები, ქრონიკული ინსომნია, საშარდე პრობლემები, ტკივილი მუცლის ქვედა არეში, იმპოტენციის სიმპტომები. თითქოს მისი სხეული დედისგან გაქცევის სოხოვდა. ბეკეტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმდენად უმართავი გახდა, რომ მან დახმარებისათვის ვილფრედ ბიონს მიმართა და მასთან ფსიქოანალიზის ორწლიანი კურსი გაიარა. ბეკეტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, შესაძლოა მხოლოდ იმიტომ, რომ ლონდონში დედისგან შორს იყო. ავტორის პირად ჩანაწერებში ხშირადაა განხილული ფსიქოანალიტიკური ლიტერატურაც. ხაზგასმულია, რომ კონკრეტულ თეორიებთან თუ იდეებთან მწერალი უშუალო კავშირი პოულობდა. ერთ-ერთი ასეთი თეორია ეკუთვნოდა ოტო რენკს, რომელიც ვრცლად წერდა დაბადების ტრავმისა და ამ ტრავმისგან გამონეული შფოთვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბეკეტის დიაგნოზი ცნობილი არ არის, მისი მეგობრის, ჯეფრი ტომფსონის თქმით, მისი პრობლემების უმეტესობა დედასთან ამბივალენტური ურთიერთობით იყო განპირობებული. ბიონისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ორწლიანი ფსიქოთერაპიის დასრულების შემდეგ, ბეკეტს გარკვეული დროით თავი შეეკავებინა დედის მონახულებისაგან. რათა ცოტათი შესუსტებულიყო ჩვილური დამოკიდებულების ტენდენცია და, ამასთანავე, მძლავრი სურვილი მისგან დამოუკიდებლობისა. ბიონი მარ-

თალი აღმოჩნდა, როგორც კი ბეკეტი სახლში დაბრუნდა, მისმა სომატურმა სიმპტომებმაც ისევ თავი იჩინა.

დედის ფიგურა, სწორედ ისე, როგორც ბეკეტის ცხოვრებაში, მოლოის ყოფიერებაშიც იზიზიზებს ცხელივითაა განფენილი, რომელიც მოლექსულურ დონეზეა კონსტრუირებული იმ სახით, რომ საკუთარი მეილი ერთდროულად მოიზიდოს, როგორც იმედმა, თუმცა უარყოს რეალური ცხოვრების ნაკლოვანების გამო. თითოეული გზა, რომელიც მოლოიმ აირჩია, საბოლოოდ დედის ძეხვის სურვილად გადაიქცა. თხრობის მანძილზე, ნარატორი რამდენიმე მნიშვნელოვან პერსონაჟს ხვდება გზად, რომლებიც მზად არიან მეგობრობა გაუწიონ, შეიფარონ უმისამართოდ დარჩენილი, შიმშილისგან დაუძლურებული, სეიბარი კაცი, რომელსაც სანუნად გამზადებული კენჭების გარდა, - დედის მკერდზე მიჯაჭვული ჩვილის ზმანების სიმბოლო რომაა - ქვეყნის ზურგზე აღარაფერი აბადია. თუმცა, დედასთან დაბრუნების სურვილი უკვე სრულიად ორგანული მოთხოვნილებია, რომელიც მას შიგნიდან ღრწის და მანამდე არ შეწყდება, სანამ არ დაკმაყოფილდება.

დაბადების ტრავმას - მშვიდი ემბრიონული ყოფის მწვავე და მტკიცეულ დარღვევას - ინდივიდის პირველად სასჯელად მიიჩნევა, რომელიც, საფუძვლად უდევს ჩვენს ყოველ შემდგომ ცხოვრებისეულ შფოთვის. სწორედ ამ დაკარგული სამოთხის რეპლიკაციას ცვდილობთ სიჩუმით ავსებულ სუსტად განათებულ ოთახში, რეალობის ყველა აქტიური იმპულსისგან მოწყვეტილებით, სხვა განზომილებისეული სიმშვიდის განცდას რომ ვეუფლებით, როცა მუხლებს მკერდთან მივიტანთ, თავს ნაზად დაგვადებთ და ისეთ ფუფუნებას შევიგრძნობთ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩნდება, როდესაც არაფერზე გვაქვს საფიქრალი.

ალბათ, სწორედ ამ სამოთხისა და სიმშვიდის იმედით დაუბრუნდა სემი დედას, თუმცა, მიაღწია კი მას?

შესაძლოა სწორედ ამიტომ შექმნა მოლოის პერსონაჟი - იდენტური ნაკლებითა და ტკივილებით, რომელსაც აქვს შანსი, იგივე მოგზაურობა სცანაირად დაასრულოს.

ამ უცნაურ მოგზაურობაში ჩართულ მკითხველს მოლოისთვის ბევრის პატიება მოუწევს, თუმცა არა იმიტომ რომ, მაგალითად, მკვლელობის აქტში რაიმე ხელჩასაჭიდი დამკვეთი მაინცაა, რაც მოლოის სამართლიანობაზე მოუთხოვს, არამედ მისი უიმედობით გა-

მონეული სასწრაფო იმდენად გადამდებია, რომ მკითხველისთვისაც კი შეუძლებელია, რომ მას საკუთარ ქცევებზე პასუხი მოსთხოვოს.

მოლოის ისტორია კი, როგორც ყველა სხვა საკულტო გმირთა ამბები, საბოლოოდ, დაცემით სრულდება - დაუსრულებელი ძიებისგან ღონემიხილი მოლოი, უფრო სწორი იქნება ითქვას, მისგან დარჩენილი ნიჭი, თხრობის ფსკერზე ეცემა. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ის ეცემა იმედით, რომ იქნებ ვინმემ იპოვოს და გადაარჩინოს.

თხრობა ზუსტად იქ სრულდება, საიდანაც ის დაიწყო - მოლოი დაეცა და გონება დაკარგა, ერთადერთი რამ, რაც დანამდვილებით იცის, ისაა, რომ ახლა დედამისის ოთახშია. ახლა ის ცხოვრობს იქ. ოღონდ როგორ მოხვდა, ეგ კი აღარ იცის. მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ დედა აღარსადაა, თუმცა მისი ღანის ქოთანზე და ნივთები ისევ და ისევ მის ოთახშია, მორჩილად, ფეხმოუცვლელად. მოკვდა?

ზუსტად არ იცის.

უკვე დაასაფლავებს?

არც ეს იცის მოლოიმ, თუმცა ის მარტოა, დედის ოთახში, მის საწოლთან და ღამის ქოთანთან ერთად გამოკეტილი. როგორც პატარები ამბობენ გარდაცვლილზე, მოლოის დედა სხვაგანაა ნასული და, ალბათ, აღარც დაბრუნდება. მიუხედავად ფასადური ნარეშობისა, რასაც დეზანთა ვერმეხვედრა, მისი გაუჩინარება ინვესტირებული, ეერაფრით ამოვიგდე თავიდან გრძნობა, რომ მოლოიმ საწადელს მაინც მიაღწია, ის დედასთან დაბრუნდა, მასთან შეერთდა, ამიტომაც აღარაა დედა იქ, თავის საწოლში. ის უკვე მოლოიშია, გარს ეკვრის მას თავისი ოთახის კედლებითა და მიმოფანტული ნივთებით, რომელიც ახლა მის შვილს ემსახურება ჩვეული მოთმინებით. მოლოი უკვე დედაშია, მან ხომ ქალის ადგილი დაიკავა მისსავე ოთახში, ყველაზე ინიტიმურ სივრცეში, სადაც არაფერი ხდება, არაფერი იცვლება, არავინ მოდის, გარდა კაცი-სა, რომელიც მოლოის ჩანაწერებს იბარებს. მოლოი ბეკეტის ცხოვრებით ცხოვრობს. წერს დედაზე, რომლისკენაც ასე ილტვოდა და ვერასდროს მიაღწია იმაზე წერს, რაც საბოლოოდ შემორჩა და მას შემდეგ, რაც მოხა-ყოლი აღარაფერი ექნება, „კვდომასაც დაუსვაშს წერტილს“, სწორედ იმ ვარდისფერ კედლებში გამოკეტილი, სადაც პირველად გაახილა თვალი და უკანასკნელად შეიგრძნო სიცოცხლის მშვიდი დინება.

ნიკოლოზ ალექსიძე

შაშვი შაშვი მაყვალი - ტაბუს, ზღვრის და თავისუფლების ამბავი



თამთა მელაშვილი, „შაშვი შაშვი მაყვალი“,
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2020

ანთროპოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნაშრომში, „სინმინდე და საფრთხე“ (1966), მერი დაგლასი იკვლევს ტრადიციულ საზოგადოებებში ტაბუს, სინმინდისა და ჭუჭყის მნიშვნელობებსა და ადგილს. სხვა საკითხებთან ერთად, დაგლასი საუბრობს მენსტრუაციაზე, როგორც ასეთ ტაბუირებულ ფენომენზე:

„მენსტრუაციისას ქალი ვერ დაამზადება და საჭმელს კაცისთვის, ცეცხლს ვერ შეუთებდა კერას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კაცს დაავადებდა. საჭმლის დამზადება კი შეეძ-

ლო, მაგრამ ცეცხლზე დასადგამად მეგობრისთვის უნდა დაეძახა. ეს საფრთხე ემუქრებოდათ მხოლოდ კაცებს და არა სხვა ქალებს და ბავშვებს. დაბოლოს, თუ მენსტრუაციისას ქალი ტყეში შევიდოდა, ის საფრთხე წვედოდა მთელი თემისთვის. მისი მენსტრუაცია არა მხოლოდ უბედურებაში გადაზრდიდა მის ნებისმიერ წამოწყებას ამ ტყეში, არამედ კაცებისთვისაც კი ზიანის მომტანი იქნებოდა... ყველა რიტუალი უნდა დაცულიყო ქალური უწმინდურობისგან... ასეთ საზოგადოებებში ქალური უწმინდურობა, როგორც წესი, დაკავშირებულია მცდელობასთან, რომ ქალებს, ერთი მხრივ, ექცეოდნენ, როგორც პიროვნებებს, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც კაცებს შორის

გაეროს
სამშრომლობის
სიმბოლო

ტრანსაქციის ვალუტას, ამიტომ კაცები და ქალები განცალკევებული არიან როგორც ორი განსხვავებული და მტრული ვარემოს-თვის კუთვნილი“.

ანთროპოლოგებსა და სოციოლოგებს ბევრგან და ბევრნაირად უკვლევიან მენსტრუაციის როლი საზოგადოებებსა და რელიგიებში. ემილ დურკჰაიმში, საერთოდაც, მიიჩნევა, რომ ყოველგვარი რელიგიის და რიტუალური ქცევის საწყისი სწორედ ქალის მენსტრუაცია იყო, როცა სისხლდენა აჩენდა ზეარს სქესებს შორის და კაცებსა და ქალებს ერთმანეთისგან აცილებდა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ტრადიციულ კულტურათა უმეტესობაში ქალის მენსტრუაცია ასოცირებულია ერთდროულად საფრთხესთან და სინამდესთან, ხოლო სისხლდენა, ზოგადად, და კონკრეტულად მენსტრუაციის, აღიქმებოდა და რიტუალიზდებოდა, როგორც რაღაც საგანგაშოს დასაწყისის ნიშანი.

თამთა მელაშვილის „შაში შაში მაყვალი“ ამ საფრთხით და, მეტიც, განგაშით იწყება, ეთეროს მიერ ტრანსგრესიითა და ტაბუს დარღვევით, როცა ეთერო მაყვლის საკრეფად მიდის. თანამედროვე ქართული ლიტერატურის, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო დასაწყისით, ეთერო პირდაპირ გვამცნობს, რაც მის თავს ხდება:

„აი, ხო ბებრობაში მიდგას ლამის ორივე ფეხი, ჩემი სისხლიც ხო გვალვავამოვლილი წყაროსავით ნელ-ნელა იღვება, მარა საკერებზედ მაინც ისე ვამწიქენის ხოლმე თვითურის მოხვლამდე, ადრე რო ვიცოდი, გოგოობაში“.

ოლონდ დაგლასის დაკვირვებისგან განსხვავებით, ეთეროს მენსტრუაცია არ არის მისი ბორკილი ან ტრანსაქციის ვალუტა, ის ეთეროს ავტონომიურობის, თავისუფლებისა და თვითმყოფადობის ნიშანია, რომელიც ბავშვობის შემდეგ ერთნაირად წინსვლის მას და ერთნაირად ჰგვრის გათავისუფლების შევებას. ეს სისხლდენა პირქით, მას აცილებს საფრთხეს. როგორც შემდგომ და თანდათან, ეთეროსვე მოგონებებიდან ვიგებთ, ეთეროს მთელი ცხოვრება გათავისუფლებისთვის გრძელი ბრძოლა იყო. მან უკვე მოიპოვა თავისუფლება გაუქმებული მამისგან, მოძალადე და ხელნაღას ნასული მისიგან, არარსებული ქმრისაგან და არარსებული შვილისგან, გათავისუფლდა მისი სქესისთვის დალად დასმული ტრანსაქციულობისგან, როცა ყოველთვის კაცებისადმი იყო ვალში. ის მაღაზიაც, რომელიც თავისი ხელით აანყო და შიგნით, რო-

გორც ციხე-სიმაგრეში გამაგრდა, ამ ლიტონომიურობის სიმბოლო და გეირვებით უნდა ყოფილიყო. ახლანდელი ეთერო არავის აღარ მიემართება და მისი მენსტრუაციაც ამ გათავისუფლების სიმბოლო და სტაბილურობის ყოველთვისური დამადასტურებელი ნიშანია.

ეთეროს ცხოვრების გზაზე დამარცხებული და დაგდებული ქალები ხვდებიან, ზოგიც ისე, რომ თვითონაც ვერ გაუცნობიერებიათ და ზოგიც პირდაპირ, „საკუთარ ნერწყვში, ცრემლში განოლილები“. ყველა ამ ქალმა, ეთეროს გადმოსახედიდან, თავის დროზე მაღაზიაში გამაგრებას, მიმართებულობა, სხვაზე დამოკიდებულობა და ვიღაცის თანამგზავრობა არჩია და ახლა კი ეთეროს უყურებენ შიშითა და ძრწოლით. ეთერომ კი, როგორც ამბობს: „თავიდანვე ვიცოდი, კაცი რა არი. რო კაცი მოვლავ, ზრუნვა, თავზე გადაება და მეტი არაფერი? იქნებ იმიტო, რო ჯერ კიდევ მთლად ბავშვი მაშინგემის და ჩემი ძმის მსახური ვიყავი, მაგათი მრეცხავი და მზარეული? იქნებ იმიტომ, რომ მეკლარი დედაჩემი ჩავინაცვლე თავიდანვე კაცების მოვლით, ზრუნვით, რეცხვით და წმენდით“.

მაგრამ ეთერო ტაბუს არღვევს და მაყვალზე მიდის (ტყუენი) და სწორედ მაშინ, როცა მაყვლის კრეფას იწყებს როინის პირას, ის ვაჟბატონი მოაგონდება, მაღაზიაში რომ გაიყენა. მაყვალი, შაშვად გარდასახული, აუფრინდება, ეთეროს ფეხიდან მინა გამოეცლება და ეთეროც კლდეს გადაეკიდება. სრულიად გამორჩეული ტექნიკით, ამ წუთიდან მელაშვილი მოგვამცნობს იმავე სპირალში, რაშიც ეთერო აღმოჩნდება. საერთოდ არ გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ორმოცდაათი წლის მარტოხელა ეთეროს ცხოვრებაში რაღაც ახალი, ამაღლებელი, ბედნიერი და არნახული დაისაზღვრება მის შემდეგ. ყველაფერი საწინააღმდეგოზე მიგვანიშნებს. ეთერომ მთელი ცხოვრება მიუძღვნა სტაბილურობის, მოუმართელობის მოპოვებას. მას უკვე გადალახული ჰქონდა საკუთარი სქესის ლიმიტალურობა, ზღვრულობა, სიერე, სადაც ამდენი მისი თანატოლი ქალი დატოვა. ახლა კი ფეხქვეშ მინა ერთბაშად გამოეცალა და აღმოჩნდა იმ უფსკრულის პირას, საიდანაც ნახევარი საუკუნის ბრძოლით დაიხსნა თავი - მიმართებულობისა და ლიმიტალურობისგან, საფრთხის, ზღვრულობა და წიკზე ყოფნის, შფოთისა და მუდმივი გულზიდვისგან. ამ წუთიდან თხრობის ბოლომდე, ზღვრული ეთეროს თანმდევი და ყველაზე მეტად თვალში გაჩენილი რამ ხდება.

მელაშვილი ამ საფრთხეს გვაძცნობს ამ-
ბითაც და ენითაც, უფრო სწორად, პროზის
თითქმის შეუჩერებელი და დაუღალავი რიტ-
მულობით. მელაშვილის პროზა გუგუნივით
ჩაგვესმის, რიტმის მონაცვლეობით, ხან აჩქარ-
დება, ხან შენელებით, ხან მახვილების გა-
დანაცვლებით და ხან მონოტონურობით. ამ
მომენტიდან ეთეროს თავში ყველაფერი რიტ-
მულად იხარშება, მსუხარებას, შიშს, სიბრა-
ზეს, ვნებას, გულზიდვას, ყველაფერს თავისი
რიტმი აქვს და მკითხველებიც ისე, რომ ჯერ
ამბავში ვერ გავრკვეულვართ, თხრობის რიტ-
მითვე ვხვდებით, თუ რას უნდა გელოდოთ.

ხევის პირზე გავლის შემდეგ, ამის შემდეგ
ყველაფერი, რაც მის თავს ხდება, დანის პირ-
ზე სიარულია. როცა ის ვაჟბატონი მაღაზიაში
მიაკითხავს, ვნება და საფრთხე ისევ განუ-
ცალკევებელია, რადგან კარი ღიაა! ეთერო
ისევ ზღურბლზეა და ისევ ტაბუირებულ ლი-
მინალურობაში აგრძელებს ყოფას, როცა მა-
ღაზიაში, ლამის ზღურბლზე, ღია კარში აქვს
სექსი იმ ვაჟბატონთან. ღია კარს კი ეთეროს
სოლოლოკი მოსდევს: „ახლა ძილი მინდა! მარ-
ტო ძილი მინდა! არა, კარი ღია როგორ დავ-
ტოვებ? ვინმე შემოსულიყო, თავზე დამდგო-
მოდა? ფიქრიც არ მინდა! არა, დღეს რამდენ-
ჯერ გადაარჩი! ორჯერ გადაარჩი! არა, ვინ მო-
ვიდოდა ამ თავსხმაში, დილაადრიაან. პოდა,
გეყოს ამაზე ოხვრა! ქალო, მიდი ახლა და წა-
დი სახლში! ჯერ დაიძინე, გამოიძინე!“

ის ვაჟბატონი, როგორც ეთერო მოიხსენ-
ებს, დისტრიბუტორია, ეთეროს სტაბილუ-
რობის ციხე-სიმაგრეში ავლილ-ჩავლილი მო-
არული, უსახელო მოგზაური, თუცა ოჯახი-
ანი კაცი, რომელიც ლამის მხოლოდ მოძრაო-
ბაში ხვდება ეთეროს, მხოლოდ გზაში და ეთერ-
ოს ციხე-სიმაგრეც მხოლოდ ერთი გაჩერე-
ბაა. მის შესახებ კი, გარდა ამ გაჩერებებისა,
არც არაფერი ვიცით.

ამის მერე კი საფრთხე მხოლოდ იზრდე-
ბა და ეთეროს თავზეც ცა იქუფრება. ბოლო
თავი კი უკვე ისტორიამდე მისული განგაშია.
მელაშვილის სრულყოფილი თხრობა ამ გან-
გაში კიდევ უფრო ამძაფრებს. რამდენადაც
უნაკლოდ იწყებს, ისევე უნაკლოდ ასრულებს
მელაშვილი ამ ამბავს და თხრობის ესკალა-
ციურ რიტმულობას:

„იმ რუბი კედლის მაგივრად მაყვალს ვებ-
დავ, მაყვალის ბუჩქებს, შავ, ბრიალად მაყვალს,
მის დამძიმებულ კენჭეროებს, ნიაგი რომ არ-
ხევს და აგერ, თითქოს შაშვმაც გაიჭახჭახა,
სუ ახლოს ხეებს შორის და ავე, მაყვალის ბუჩ-
ქშიც, თითქოს ვხვდავ კიდევ, შავად გადე-

ბულს. კიიი, შაშვია, შაშვი! შავი შაშვი, შავი
თელისკარტა! აგერ, თითქოს ესეც ცხირ-
წინ ამიფრთხილდა, აფრინდა, გამიფრინდა!
თვლიც ვერ მივაღვენე. ისევ მაყვალის ბუჩ-
ქსა ვხვდავ, მის დამძიმებულ კენჭეროებს,
ნიაგი რომ არხევს, ელაშვება. თხილვებსა ვხ-
ვავ და რიონის ხმაც მესმის, მისი გუგუნიც,
და სანამ სუ ღრმა, დახველებულ ძილში
ვეშვებოდე, ამ ქალის ხელს, ანგელოზის ხელს,
ჩემ ლოყავზე დადებულს, მეც ხელს მოვუჭერ.“

მელაშვილის ენა ეთეროსავით ავტონომი-
ურია, არავისადმი ანგარიშვალდებული. არც
დიალექტური გადახვევები სჭირდება, არც სა-
ლაპარაკო და ვულგარული ენით ბუნებრიო-
ბის ცრუ იმიტაცია. მისი ენა სრულყოფილად
სალიტერატუროა და, ბევრი თანამედროვე
მწერლისგან განსხვავებით, მელაშვილის ყო-
ველგვარი ენობრივი პირუტყვის და სალაპარ-
აკო სლენგის გარეშე შეუძლია შექმნას ავ-
ტონომიური მხატვრული სამყარო.

„შაშვი, შაშვი, მაყვალს“, ალბათ, ბევრნა-
ირი მკითხველი ჰყავს, მაგრამ ყველაზე მე-
ტად ეს რომანი მათთვისაა, ვინც ხელში აიღო,
პირველი ოცდაათი გვერდი წაიკითხა, ცოტა
ნერვები მოეშალა, ცოტა შენუხდა ეთეროს
გაუთავებელი დარდებითა და მიდმოგონებე-
ბით. ამიტომ ნიგინა გადადო, რამდენიმე კვი-
რა მოსტოვა. მაგრამ მერე ცოტა სინდისმა შე-
ანუხა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამოიტე-
ვა, მიუბრუნდა, ისევ აიღო და ვეღარც დადო.
ასეთებისთვის „შაშვი, შაშვი, მაყვალს“ სა-
თავგადასავლო რომანია, განსაკუთრებით
ჩემთვის, როგორც კაცისთვის, ვისთვისაც,
ფაქტობრივად, ყველაფერი, რაც ეთეროს
თავს ხდება, უცხო და უცნაურია - სქესიც,
სატყევერიც, ყოფაც, სადარდებელიც, კლა-
სიც და საცხოვრებელიც კი, ისევე დისკომ-
ფორტსა და უხერხულობას, მაგრამ ეს უხერ-
ხულობა თანდათან, მელაშვილის თხრობის,
მუსიკალურობისა და რიტმულობის წყალობით,
გადაიზრდება სირცხვილში არცოდნის-
თვის, დაუნტერესებლობისთვის და ყველა
იმ საქციელისთვის, რითაც ცივილიზაციის
არსებობის მანიქლზე საზოგადოების მიერ
მორთმეული და ეითომ კუთვნილი სტაბილუ-
რობისთვის, ჩვენს ცხოვრებაში ქალები ტრან-
საქციის ვალუტად ფაქციით. მელაშვილის წყა-
ლობით კი ახლა, იმ ვაჟბატონისა არ იყოს,
ეთეროს თავგადასავლის ნაწილი აღმოჩენილით,
მაგრამ იმ ვაჟბატონისგან განსხვავებით, ბო-
ლომდე მიგყვებით, იქამდე, სადამდეც არც
თუ ხშირად მიუღწევიათ მოარულ დისტრი-
ბუტორებს.

ბესო სოლომანაშვილი:

"კინოში ლიტერატურის შეჭრას მოაქვს არასასურველი შედეგები კინოსთვის"

ესაუბრა ნანა ტრაპაიძე



საუბრის დაწყებამდე პატარა განმარტება: ამ დიალოგის მიზანია სივრცის გააზრება, რომელშიც ლიტერატურა და ჩვენი ცხოვრება ერთმანეთს ხვდება. თეოლოგიური აზრის გარეშე, ბევრა, რომ პირველთაგან იყო სიტყვა, რომელიც დაიშალა და გაიშალა იმად, რასაც სიტყვებისა და საგნების კავშირს, ანუ აზრს ვეძახით. ტავტოლოგიები ამას მოწმობს. სიტყვებისა და საგნების ტოლოზები და უტოლოზები - აი, ჩვენი გონების ნამდვილი საცარჯიშო.

- რა არის შენი ტავტოლოგია, რომლის ძიებად ან გამაომატულებადაც იქცა შენთვის წერა, მწერლობა, კინო? არის თუ არა ეს ტავტოლოგია ომი და შემოქმედება.

- ერთხელ, ძალიან დიდი ხნის წინ, როდესაც თბილისის ცენტრში, ზემელზე ვცხოვრობდით, დედამ გადანუყიტა, სკოლაში მივეყვანე იქვე, ქალაქის ცენტრში, ერთ სკოლაზე უთხრეს, რომ ცუდი სკოლა იყო, აგრესიული გარემოთი, მეორე უფრო შეუქცეს. როდესაც იმ შექცეული სკოლიდან მოვდიოდით, დედა ტიროდა, რომ

არ მიმიღეს. მე მახსოვს იმ საუბრის შინაარსი, დედამ სკოლის დირექტორს უთხრა, რომ პროფესიით აგრონომი იყო, მამა კი - მექანიზატორი. მასუხად კი მიიღო, რომ ჩვენი ოჯახის სოციალური ფენა არ შეესაბამებოდა ამ სკოლას.

დიდი ხნის შემდეგ დედას გკითხე, სწორად მახსოვს-მეთქი საუბრის შინაარსი და დამიდასტურა. ეს იყო ჩემი პირველი ომი სამყაროსთან, სადაც მეუბნებოდნენ, რომ ყველა თანაბარია, მაგრამ არავინ თანაბარი არ იყო. მერე მივხვდი, რომ არც უნდა იყოს ეს თანაბრობა.



ყველამ უნდა მიიღოს თავისი შესაძლებლობის მიხედვით, ოღონდ უნდა ვიცოდეთ ეს თამაშის წესი, არ უნდა მომბატყუო და ეს უკვე იყო შემდეგი ჩემი ომი სამყაროსთან, რომელიც დღემდე გრძელდება და ვცდილობ, ყველა ფორმით მოეყვებ ამ ომებზე, რომლებიც გადამხდენია, ახლა ხდება და, ალბათ, კიდევ გადამხდება. ეს ომები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ სოციალურთან, რომელშიც ვცხოვრობ, ამ სოციალურის ქმედებებთან. ყველაფერი იმდენად დამაბრუნებელია, იმდენად დამთრგუნველი, რომ ნებისმიერ შესაძლებლობას ვიყენებ, რომ ამის შესახებ ვთქვა. ვამბობ, უფრო სწორედ, ვიმეორებ, რომ დავიღალე. თქვენ არ დაიღალეთ? რატომ მძაბავთ და იძაბებით, როცა სამყაროში არის სამყაროები, სადაც არ ძაბავენ ადამიანები ერთმანეთს. ვიმეორებ და ვიმეორებ ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერი რაკურსით, რომელიც ხელმეორდება, იქნებ ვინმემ გაიგოს. რა-ღაცას რომ ვამბობ, ვხედებ, რომ ისევ ის ვთქვი, რაც წინათ. კინოში ის გაბავილე, რაც ლიტერატურაში დაგვრე და პირიქით, რადგან როცა ომში ხარ, იმეორებ და იმეორებ ქურცების სროლას, შეიძლება სხვადასხვას, მაგრამ იმეორებ და იმეორებ, სანამ მიზანს არ მიაღწევ, მთავარია, მიზანში სროლა იცოდეთ.

შეიძლება იმასაც მოვეხსნო, რომ ის, რაც დღეს ხდება ჩვენს საზოგადოებაში, ამაზე ლაპარაკი აღარ იყოს საჭირო. მაშინ ალბათ რაღაც სხვა იქნება და ცუდად თუ კარგად იმაზე ვილაპარაკებ ლიტერატურაში, კინოში, რომ ჩემი სათქმელია, ჩემი პოზიცია გავაგებინო ვინმეს. რა გამოვლა აქედან, არ ვიცი... მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვცდო.

- შენი რომანის - „ამბავი ძველი დახვერტლები“ და ამბავი ახალი დასახვერტები - „გამო მინდა გკითხო: რომანი რეალისტურია, მაგრამ ის არ არის ფსიქოლოგიური, არც ექსისტენციური რომანი. მე ვფიქრობ, ფსიქოლოგიზმისთვის, ექსისტენციური საზრისებისთვის სხვა მხატვრული პერსპექტივა არსებობს, - უფრო მიკრო, ვიდრე მაკროსტრუქტურები. ჩემი აზრით, შენს რომანში წერის, თხზვის მიზანი კომპოზიციის შექმნაა, სურათის დინამიკა, ის ნიშნული, სადაც ხაზები მიდის. ამიტომაც რეალობა მასში ჭარბია მთელი იმ ფსიქოლოგიური პერსპექტივების უჩინარობით, რომელიც მასში უკვე მკითხველს შეაქვს. ალბათ, ამიტომაც არის ამგვარი რეალიზმი მაგიური. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შთაბეჭდილებით. მაგიურობა ხომ რეალობის სიჭარბის შედეგია და არა დეფიციტის. იმის თქმა მინდა, რომ სიჭარ-

ბის თვისებაა უჩინარობა. ცხოვრებაში ყოველგვარი სიჭარბე ახერხებს ისე განაწილდეს, რომ არ ჩანდეს. მე მგონია, რომანში გარკვეული უჩინარობები არის კრიტიკული ზეგანი.

- ძალიან პატარა ვიყავი, როცა გავიგე, რომ ჩემი დიდაპის ნაქონ მინაზე ჩემი მეზობლები ცხოვრობენ. ეს ადგილი, აქვე თბილისთან ახლოს, სხვათა შორის, გიორგი მაზნიაშვილის სოფლის მეზობლადაა. აღმოჩნდა, რომ ეს მინა ჩემს დიდაპას არც გაუყვია, არც გაუჩუქებია, უბრალოდ ჩამოართვეს და სხვას მისცეს. ეს იმდენად ჩვეული ამბავი იყო, არ მიკითხავს, რატომ-მეთქი, შორჩა ჩამოართვეს და იმათ მისცეს... თურმე ძალადობით წაართვეს, დააყარეს ანუ. ჩვენს საზოგადოებაში ძალადობა არის ყოველ ნაბიჯზე, აბსოლუტურად ჩვეული მოვლენაა, წყალი მომწყურდა და დავლიე, დაახლოებით ამ ხარისხის მოთხოვნილება. სიტყვები, რა თქმა უნდა, ხომ ყოფის შინაარს ატარებენ, ახლა ჩამოთვლილი სიტყვები: ააბია, დაანერა, უბატონა, დაკრიშა, განენა, იხმაა, მიტისკა, ქურდულა, ჩაიბარა, მაყურებელი, ლევი, ნარუშლიოკა, შეუსრულა, და ა.შ. ეს იმის მეასედი არ არის, რითაც გაზავებულია ჩვენი საზოგადოების ურთიერთობის ინსტრუმენტები, თან ეს ყველაფერი რეალიზებულია, პიროვნული სიძლიერის, შემდგარობის, ღირსების ნიშნად აღიქმება; როგორი სემანტიკური აღრევაა? რეალურად ყოველი, რაც ამ სიტყვების უკან კრიტიკალიზდება, ძალადობაა - ადამიანი ხომ ისედაც მიდრეკილია ძალადობისკენ, უბრალოდ ვერ გადაარჩენა ისე... მეტნაკლებად მოახლოვნე საზოგადოება ცდილობს შეამციროს ეს ძალადობა, ჩვენ საზოგადოებაში ჯერჯერობით პირიქით ხდება - აღმასვლას განიცდის.

- რომანში ბოლშევიზმის დიდი მამები ეპიზოდური გვხვებით გვხვებიან მაშინ, როცა მათი კრებებით სახეები ქმნიან რომანის შინაარსობრივ სამყაროს. ვასაგებია, რასაც ემსახურება ეს. საიდან, როგორ დაიბადა „ჯვარნაკარავის“ ისტორია?

- მთელი ეს დიდი გლობალური მოვლენები, ომები და ა.შ. ის, რაც ადამიანის გონიდან გამოდის, იმის მეტი არაფერია, თუ არა ორ ადამიანს შორის კონფლიქტი რაღაცის გამო და ეს „რაღაცაც“ ძალიან ადამიანურია ყოველთვის, მეტისმეტად ადამიანური.

ყველა ადამიანის ნებისმიერი ქმედება ნიშანობითების საფუძველზე ხდება, მათ ცხოვრებაში მომხდარი უამრავი მოვლენების საფუძველზე; თუნდა ეს გლობალური ომი იყოს, თუნდაც ვინმე შემთხვევით შეხვედრილი კარ-

გიადამიანის გამონჴდელი ხელი.

ჯვარნაკრავი ჩემთვის სწორედ იმ ცნობილი ბოლშევიკების კრებითი სახე კი არა, კრებითი ტრავმების მატარებელია. მგონია, რომ ცუდი და კარგი ადამიანები კი არა, არსებობენ სხვადასხვა ტრავმებით სავსე ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ეს ტრავმები რამენაირად დაიშონ. ეს ტრავმები მარტო მისი გაჩენის დღიდან კი არ ილექება, სავარაუდოდ, გენშიც კი შეიძლება გამოყვეს ადამიანს, ასე მგონია. ამიტომ ვცდილობ, რომ ის ისტორიული გმირები დავინახო ჩვეულებრივ ადამიანებად, აი ძალიან ჩვეულებრივ ადამიანებად, თავისი ვნებებით, რა მნიშვნელობა აქვს გმირი წარმოსახვითა თუ რეალური, იმაზე მეტს ხომ მაინც ვერ მოიგონებ, რაც ზოგადად ადამიანს შეუძლია გააკეთოს. ამიტომ გაჩნდა ჯვარნაკრავი, რომელიც თედოს (თედოს პაპის) ტრავმაა. თედო პაპა თავისთავად შვილიშვილის (ჩვენი თანამედროვე თედოს) ტრავმაა, ამ ჩვენი თანამედროვე თედოს წარსულში იმდენი ტრავმები დაგროვდა, რომ ეს ყველაფერი ტვინის სიმბიენედ იქცა.

ჯვარნაკრავი საკვანძო ფიგურაა ჩემთვის. იმ დროის (და არა მარტო იმ დროის) საქართველოში მომხდარი ყველა მოვლენის გამტარია, რამაც საბოლოოდ წარმოშვა თაობების ჯალათი.

ამიტომ მოვაგროვე ჩემს ცხოვრებაში გავლილი, გაგებული, წაკითხული, ჭორებად ყურმოკრული ჯვარნაკრავები და ერთ გმირად ვაქციე, რომელმაც შექმნა ჩვენი დღევანდელი საზოგადოება მოძალადე მსხვერპლის სახით.

- თხრობის სპეციფიკურ დაჯგუფებები: რომანი ძალიან დინამიკურია, სიუჟეტურ დინამიკას არ ვგულისხმობ მხოლოდ, თხრობაც დინამიკურია. რა მამოძრავებელი დგას ამის უკან. აქვე გკითხავ რედაქტორის როლის შესახებ.

ძალიან მერიდება, როდესაც ამბობენ ან წერია - „შწერალი ბესო სოლომანაშვილი“. გულწრფელად ვამბობ, მართლა მრცხენია, ძალიან დიდი ამბიციია. მართლა მიძნელებდა ვილაპარაკო ამ ამბიციის ქვეშ, მითუმეტეს იმაზე, როგორ ვნერ მე რაღაცას. გულწრფელად ვამბობ, არ ვიპრანჭები და მართლა მაქვს დაძაბულობა, რასაც ვაკეთებ, ფასეულია თუ არა, უზრალოდ ვაკეთებ პირადი ემოციების გადმოხაცემად. გულწრფელობას და სიმართლეს მივჩნევ მთავარ იარაღად, ოღონდ, რაც მე მყავს, იმ სიმართლეს. სულ ეჭვი მეპარება, სწორია თუ არა, რასაც ვნერ, ამიტომ ვცდილობ ყველა მოვლენას ან პერსონაჟს გარშემო შე-

მოეუარო და დროშიც წავიდე უკან, რის მიზნით დაუშვას ხერხები არ დავაბრალო, ცრფა გმირი, რაც არ ჩაუდენია, ის მიაწერო.

წერისას არის მომენტები, როცა გმირი არაფრით არ აკეთებს იმას, რაც გინდა, რომ გააკეთოს, გეკამათება, - არ ჩავიდენ მე მაგას. და თუ გჭირდება, მაშინ ადგები და ეტყვი - ჩემს ხელში არ ხარ? შეგექმნა ისეთ პირობას, რომ ჩაიდენ, შეგახვედრებ ადამიანს, ვისთან ერთადაც ჩაიდენ ან მის გამო, ან მის საწინააღმდეგოდ. ოღონდ ამაში ხარკის გადახდა გინევს, წარმოსახვის იმ უნარის, რომელიც აუცილებლად დამაჯერებელს გახდის შენს ამბავს. ადამიანი ყველაფერს შეძლებს, მთავარია, გარემო შეექმნას, ასეთი გარემოს შექმნა სირთულე. ერლომ ახვლედიანი ამბობდა, ხანდახან ცხოვრებაში ისეთი რამე ხდება, ჯობია არ დაწერო, თორემ არავინ დაგიჯერებსო. ამ დროს ლუის ქეროლი ყველაფერს გაჯერებს.

კინოში არის ასეთი პროფესია - სკრიპტ დოქტორი. ეს არის პროფესიული სცენარისტი, რომელიც კითხულობს სცენარს, რომლის არსებობის შესახებაც არაფერი იცის ანუ კითხულობს აბსოლუტურად უცნობ ისტორიას და თავისი პროფესიული ცოდნიდან და უნარებიდან გამომდინარე წერს შენიშვნებს. ქართული კინო ჯერ ვერ მივიდა ამ პროფესიის საჭიროებაზე, ვერ ვხვდებით რატომღაც საჭირო. სკრიპტ დოქტორი, მაგტივად ვიტყვი, სვამს კითხვებს, როდესაც მისთვის არ არის რალაც დამაჯერებელი ან ავტორს პგონია, რომ გასაგებია ან მაღალმხატვრულია. ამ დროს უცხო თვლით დაახლოები, არც გასაგებია და არც მაღალმხატვრული. საკმაოდ ძვირადღირებული პროფესიაა, რადგან შენ რომ გგონია გენიალური ამბავი დაწერე, უცბად აღმოჩნდება, რომ თითქმის ყველაფერი შესაცვლელი გაქვს.

რედაქტორი ლიტერატურაში სწორედ ასეთი პერსონაა, მე მქონდა ბედნიერება ამ რომანზე მემუშავა ისეთ ორ რედაქტორთან, როგორებიც არიან ანა ჭაბაშვილი და მარიამ გოჩიაშვილი. ორივენი მკაცრები, განათლებულები და ჭკვიანები არიან, თუმცა ზუსტად იციან, სად მთავრდება რედაქტორი და სად იწყება ავტორი და ასეთ უამრავი კითხვა. არის წინიდან გრამატიკული ნაწილები, სადაც გეტყვიან, რომ ეს ასე არ იწერება და მორჩა. ისინი მიყვებიან მთელი ტექსტის სახაითს და არა უბრალოდ ამ ტექსტის ჩაწერის წესს და დეტალებს მთლიან ტექსტის კონტექსტში განიხილებს.

ერთხელ იყო შემთხვევა, სხვა ტექსტის რედაქტირებისას, როდესაც ერთმა რედაქტორმა მითხრა - ამ ამბავს საერთოდ ვაგდებ, რადგან

არ მომნონს პოზიციას. ვაიშ! კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი.

- წერა იაფი ალტერნატივაა თუ არჩევანი. ვგულისხმობ, კინოფილმად ხომ არ იყო ეს რომანი ჩაფიქრებული, რაც ძვირი საქმეა.

- არა, არავითარ შემთხვევაში არ არის კინოფილმად ჩაფიქრებული... ორივე, კინოც და ლიტერატურაც ძალიან ექვივალენტო არიან და უნესობად მიმაჩნია ასეთი საქციელი ორივეს მიმართ. ხშირად მეუბნებიან, პირველი მოთხრობის „კონტრპანდისტები“ დაბეჭდვით და მოწყობილი, კინომატორაფიული ტექსტები გაქვსო, არ ვიცი, რას ნიშნავს ეს, განსაკუთრებით კინოში ლიტერატურის შეჭრას მოაქვს არასასურველი შედეგები კინოსთვის.

ეს, ალბათ, უფრო ხედვის ფორმა - მოვლენების, ადამიანების. მე არ ვიცი ეს რამდენად კარგია ან ცუდი, უბრალოდ ასე გადმოვცემ, იმას რაც მანუხებს. არის ისტორიები, რომლებიც თვითონ ამბობენ, რომ კინო ენით გადმოცემისას უფრო ემოციური იქნება.

რა თქმა უნდა, ამბის თხრობა, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, წერისას უფრო კომფორტულია, წარმოსახვის რეალობება ქალაქადზე უფრო ადვილია, მთავარია ეს წარმოსახვის უნარი არსებობდეს. კინოს თავის თხრობის კანონები აქვს, მათემატიკურ სიზუსტეში მისული კანონები, ეს გარკვეულ იდეას უფრო ემოციურს ხდის... არის ვიზუალური ხატები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კინოთი გადმოიცემა, სხვა ხელოვნება ვერაფრით მოიტანს იმ ემოციას. ის კი არა, შესაძლოა, ხელოვნების სხვა დარგებს არც კი ჰქონდეთ მსგავსი გამოხატვის ინსტრუმენტი. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ლიტერატურაში მოყვება, რომ უსმენდი ბეთჰოვენს და ეს მუსიკა შენში იწვევდა გარკვეულ ემოციას... მცდარი აზრია, რომ კინო არის სინთეზური ხელოვნება. ისევე, როგორც ლიტერატურა, მზატერობა და ა.შ. არასაღეს არ იქნება სინთეზური. თანამედროვე გამოხატვის საშუალებებმა მოიტანა სინთეზის ფორმები, ამ თვალსაზრისით მე კონსერვატორი ვარ.

- რომანის სათაურის მეორე ნაწილი - „ამბავი ახალი დასახვრეტებისა“ რას ამბობს? საკმაოდ ავისმომასწავლებლად ყლერს...

- ეს არის ის ჯაჭვი, რომელიც თუ არ გავწყვიტეთ, საღდაც საკუთარ თავს დაგვახვრეტინებს, ეს არის მასობრივი აგრესიის ჩაყვითლი ნერვ.

რამდენჯერ გადავწყვიტე, სოციალურ ქსელს დავხურავ-მეთქი, ერთი პერიოდი ძალი-

ან აქტიურად ვიყავი და მიგხვდნენ, რომ ამჯერად თავებელ პოლემიკებში ვკარგავდი დადიანებას. მერე გადავიფიქრე დახურვა, უბრალოდ დავიწყე დაკვირვება. გარდა იმისა, რომ სოც. ქსელები საემიანი კომუნიკაციისთვის მჭირდება, ხშირად რაღაც მოვლენის შეფასებას ვადევნებ თვალს, რათა საზოგადოების ზოგადი განწყობები დავინახო. აღმოვაჩინე და არავითვის უცხო არ არის, რომ საზოგადოება თავისი გამოხატვის საშუალებად ყველაზე ადვილად იმეტებს ურთიერთობის აგრესიულ ფორმებს: დასახვრეტი, დაგვავადი, ეგოთები უნდა მიავიკო კედელთან და ა.შ. განსაკუთრებით გამოირჩევიან რეალურ ცხოვრებაში საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის საკმაოდ ინერტული ადამიანები, 50-70 წლის დიასახლისები ან შედარებით დაბალანაზღაურებად სასახურში, ძირითადად საჯარო დაწესებულებებში მომუშავე ქალბატონები (რა თქმა უნდა, ყველაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ საკმაოდ კრიტიკული რაოდენობაა), რომელთაგანაც, წესით, არ უნდა ელოდე ამას, ვინაიდან ისინი არიან ბებიები და დედები და სათნოებას უნდა ატარებდნენ. ისინი გარეგნულადც კი ჰგავნან ერთმანეთს - ხეცაუალობაუარყოფი ქალები, პარაელიზებული საზოგადოებრივი საქმეში, რაც ოცნებებში ჩარჩათ. ისინი ძირითადად საშუალო განათლებისა ან კომუნიტების პერიოდში მიღებული მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი შიშვლესი განათლებისა არიან, რაც გარკვეულ ამბიციას სძენს. ამის გარდა, მათ უკვე შეასრულეს გამრავლების ფუნქცია, მაგრამ ცოცხლები არიან და საჭიროებენ არსებობის გამართლებას. და აქ იწყება გადარჩენის მთავარი იარაღის ამუშავება, - ძლიერი შვილის აღზრდისა, რომელიც გადარჩება იმ ძალადობაში, რომელსაც თვითონ განიცდის. ავითარებს ისედაც გამეფებული მასკულიზმობის კულტს.

აბა, დააკვირდით, რა ქნეს ბოლშევიკებმა, რისი კულტი ჩაანაცვლეს რელიგიური რწმენა? ქვეყნით დედაქალაქში, მთაწმინდაზე (ეს ძალიან საგულისხმოა - „მთაწმინდა“) დადგეს რელიგიური ჰიპოსტასის ჩამნაცვლებელი ერთგვარი ეკრპი „ქართლის დედა“ - აბსოლუტურად არაქალღმთი ფუნქციებით, ანუ მოხდა მეტატალური აღრევა - სამყაროს ყველაზე სათნო არსების სახელით შეიქმნა აგრესიული ხატები. ნარმოიდგინეთ, ვინმემ რომ დახატოს ასეთი ხატად ღვთისმშობელი, ატყდება ამბავი - ღვთისმშობელი სრულიად სხვა იდეის მატარებელია და აბა - მორიგი შეჯახება ტვინებში: ქალს, რომელსაც თითქმის დეინემის დონეზე



აქვს დედის სათნოების ფუნქცია, უცვბ იძულების ძალით ხმლიანი აგრესიის ინექციას უკეთებენ და ისიც ზრდის აგრესიულ ადამიანს. ფემინური ღირსება იწყებს გაუაზრებელ თავდაცვას - გაზარდოს ძლიერი ევოცენტრული მამაკაცი, რომელიც მომავალში უნდა იყოს მფარველი და საკვების მომპოვებელი. ამ ქალბატონებთან იზრდებიან შვილები და შვილიშვილები. შესაძლოა, ეს ქალბატონები რეალურად სულაც არ არიან აგრესიულები და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ პირიქით - სათნოებით სავსენი არიან, მაგრამ ძალადობისთვის გარკვეულ მენტალურ სივრცეს იხიენ. ისინი ზრდებიან მენტალურ მოწონებებს, რომლებიც შემდგომ ძალიან ადვილად იმეტიბენ „დასახვრეტად“ ადამიანებს. რა თქმა უნდა, ეს მეტაფორაა. მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ ძალადობა არის მათი აზროვნების ჩვეულებრივი წესი. არც იციან, რომ ეს ძალადობაა, რადგან „მთა-წმინდაზე“ მდგარი „სათნო არსება - დედა“ მთელი ცხოვრება მათ ძალადობის კულტის ჩასჩინივს და იკვრება წრე, უწყვეტი წრე ძველი დახვრეტისა და ახალი დასახვრეტებისა ან პირიქით - ახალი დახვრეტისა და ძველი დასახვრეტებისა. დროში ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

- შენი თემა არის ბოლშევიზმი. თან არა იმდენად მისი ისტორიული ასპექტი, რამდენადაც ბოლშევიზმი, როგორც ცნობიერების მდგომარეობა. ამის შესახებ მინდა გკითხო: რატომ ფიქრობ, რომ ეს არსებითია, რომ ეს აქტუალურია. სად არის აბსოლუტების კვანძი ლიტერატურაში და ცხოვრებაში შორის.

- აი, როგორ ვთქვა?.. ეს არის ჩემი სიბრძნე. კინოდან ძალიან ხშირად მიწევდა და იმედია კიდევ მომიწევს ფესტივალებზე და სცენარის გამო მოხვედრა დანარჩენ მსოფლიოში და ძალიან მიჭირს კომუნიკაცია, რადგან კარგად არ ვიცი ინგლისური, რაც ძალიან, ძალიან მზღუდვას რეალიზებისთვის. ერთხელ, ერთ-ერთ ფესტივალზე რომელიღაც ფრანგმა პროდუსერმა მითხრა, რომ თუ ინგლისური არ იცი, კინოს გადაღებას თავი დაანებებო, გავიწარდი, სერიოზულად ვიზრდებ, სუ რასისტი ვქნა, მერე ბოდიშ მოიხდა და თქვა, რომ მიწოდდა მეთქვაო - ევროპაში გაფიქრდება კინოს გადაღება, თუ ინგლისური არ იციო. მიუხედავად, რომ მართალი იყო და დავიწყე კვლევა, რატომ ვერ ვისწავლე ინგლისური, რუსული ხომ დაუკეთესოდ ვიცი? ამ მცირე მიზეზის უკან საუკუნოვანი ისტორიაა: ჩემი, მამაჩემის, პაპაჩემის, მისი პაპის ანუ გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის. ვილაც ნაძირალაზ გა-

დანეცია, რომ მე მხოლოდ რუსული ენაზე ვცოდე, ჩამკეტოს. შემიზღუდოს ურთიერთობის არეალი, კომუნიკაციის თავისუფლება და ეს ვილაც ნაძირალა არის კრებითი ბოლშევიკი.

ლიტერატურა ადამიანის სულის გამოცდილების გაზიარებაა. ხომ გინახავო, ერთი ადამიანი როგორ ურჩევს მეორეს: - აუ, ნაიკითხე რაა, შენს თავს და რამდენ ადამიანს იცნობ, თითქოს ჩვენზეა ეს წიგნი, რა გენიოსია არა ტიპი? ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ყოფითი საუბარია, არადა როგორი რეცენზიაა? და ბოლშევიზმი გართმევს ამ გაზიარების საშუალებას, გიქმნის საზღვრებს, ვზღუდავს და თუ არ დაემორჩილე, გკლავს, პირდაპირი გაგებით გკლავს. იგი საზოგადოების არა უბრალოდ სოციალური წყობაა, არამედ, გლობალურად, აბელისა და კანის ურთიერთობაა, შეზღუდული მოძალადე ადამიანისა და თავისუფალი ადამიანის მარადიული ბრძოლაა, რომელიც იმ მოთავარი ნაწარმოების პირველი ტრაგედიაა. ვფიქრობ, რომ ამ ტრაგედიის შინაარსი მარადიულია. მეც ამ „მარადიულზე“ ვწერ.

- როგორ ფიქრობ, რეალურია საფრთხე, რომ ისტორია, მისი გადართამების მცდელობაში, კიდევ შევა იმავე „მდინარეში“, ნაცნობ ჩიხში? გვასწავლა ისტორიამ რამე? გვაზღუდვს ეს საფრთხისგან?

- თეზისი, რომ ისტორია გაკვეთილია, ჩემთვის ეჭვს იწვევს. თუ მაინც და მაინც გაკვეთილია, მაშინ ისეთი, რომელსაც არავინ არა თუ გადაიმეორებს, არც სწავლობს. ისტორია არის მხოლოდ ფაქტი, ფაქტი, რომელიც შექმნა ადამიანმა თავისი ბუნებრივი გამოდინარე. ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, მეტაფიზიკოსები, პოლიტოლოგები იწყებენ განხილვას, რამ განაპირობა ის რომ, ესა თუ ის ისტორიული ფაქტი შედგა. ჩემთვის ისტორიაა, უბრალოდ, ინსტრუმენტი, მოვყვები ადამიანის შესახებ. თუ პირველყოფილისთვის ეს იყო ნადირობის და ტომთა ბრძოლის ამბების მოყოლა, დღევანდელი ადამიანი ყვება გლობალურ ომზე. არის არსებითი განსხვავება?

ისტორია გაკვეთილი ხდება მაშინ, როცა ადამიანი ადის რაღაც განსხვავებულ მორალურ საფეხურზე და იწყებს იმის გააზრებას, რომ თუ ცეცხლში ჩაგდებულ ქვას ხელს მოკიდებ, დაგნავას. თუ აბელს ქვას ჩაარტყამ - რჩები მარტო. აღარ ვლაპარაკებ ზნეობრივი შინაარსის განცდაზე, რომ მოკალი ძმა. ხანდახან მგონია, რომ ადამიანი მკვლელის სიმარტოვის კომპლექსით ცხოვრობს და რაც

უფრო უნდა ეს კომპლექსი მოიცულოს, მით უფრო იძირება. ამიტომ არის უწყვეტ წრეზე ომები... იმ ბიბლიური მწიგნობრების ძიებაში ომობს და ომობს, რომ ერთხელ და სამუდამოდ იმ-ძალაგროს და დამშვიდდეს. სხვათა შორის, მგონი, დიქტატურის მოთხოვნილებაც აქედან მოდის... და კიდევ ეს ყველაფერი ისტორია ხდება მომდევნო ისტორიის აწყო ეტაპზე.

- რა საზოგადოება შექმნას სსრკ-ში?..

- დიხა, აი ეს უკვე ის არის, რაც უცნაურად ამოვარდნილია კაცობრიობის განვითარების და არსებობის ყველა გლობალური კანონიდან, თუმცა არა ერთადერთი... ესე ცალსახად, მხოლოდ მემარცხენე მოძრაობების და-საწყისი არ ჩათვლება მიზეზად, მემარცხენე რევოლუციური მოძრაობა სამყაროში და ადამიანთა გონში მუდამ იყო, როგორც, ბანალურად რომ ვთქვა, მდიდართა და ღარიბთა დაპირისპირება. „აჩრდილი დაძრწის ევროპაში - აჩრდილი კომუნიზმისა - საიდანაც ხომ „პოქარნა“ ეს აჩრდილი? ამას უამრავი წინაპირობა აქვს ადამიანის განვითარებაში და მათ შორის იმ ტერიტორიაზე, სადაც სსრკ აღმოცენდა. ტერიტორია, თავისი გეოგრაფიული თვისებებით, მზის ინტენსივობითა თუ წყლის შემადგენლობით, გეოგრაფიული რელიეფითა თუ ადამიანური ყოფის პირობებით.

ყველაფერმა ერთად განაპირობა კაცობრიობის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი ტომების გამოჩენა ევროპის აღმოსავლეთით. ძალიან განვითარებული ევროპის გვერდით უცებ ჩნდება ადამიანთა ძალიან განვითარებული ჯგუფები. და მგონი, ბებრმა ევროპამ ვერ მოზომა თავისი ამპარტყნული დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართ, რამაც იმ სხვა ხალხების ბუნებრივი გაღიზიანება გამოიწვია, ამ გაღიზიანებაში წარმოქმნა სსრკ, რაც ახლა ევროპას ციხეში ხვდება. ცდილობს გამოსასროს შეცდომები, მაგრამ ძნელია. დრო დასჭირდება. იმედია, მოხერხდება.

ჩემს რომანში, წარჩინებული ოჯახების უმნიშვარი გოგო-ბიჭების მიერ, ყმანვილ „ჯვარნაკრავზე“ კოკაინის გამოცდის ეპიზოდში ვცადე ეს მოთქვა.

სსრკ-მ შექმნა ჯვარნაკრავების საზოგადოება, რომლებიც აბსოლუტურად ამოვარდნილია საღი განვითარების პროცესიდან. ეს არ არის მონების საზოგადოება, ანაბლიური აზროვნების წყობით. იმან, რაც ადამიანებს დნმ-ს დონეზე აქვთ ჩაბეჭდილი ათასობით წლის განმავლობაში, ძალიან მოკლე ხანში განიცადა ცვლილება, არსის ცვლილება. თან ეს

მოხდა ძალიან მოკლე ხანში. დამატებით ადამიანი კი მუტაციით, მძიმე მუტაციებით დევად წარმოქმნილი მუტანტი. არავითარ გავლენით მნიშვნელობას არ ედებ ამას. ხანდახან მგონია, რომ მართლაც მისტიკური ბოროტი მოვლენების ხელი ურევია ამას: სულ რაღაც ათიოდე წელში ადამიანთა დიდ ჯგუფს თითქოს, საშინელებათა ფილმების მსგავსად ზომების, მაქციების ჯოგები დაეცხა თავს დაკბინეს და აქციეს თავისნაირებად.

სსრკ საზოგადოება ძალიან მოკლე დროში მუტაციის შედეგად შექმნილი საზოგადოებაა. და თუ არ აზენე, რომ შენც ისეთივე მუტანტი ხარ, ან უნდა დაიბალო, ან გაიქცე, ან თუ ადამიანის, დაგვტენ, როგორც უცხოეს. ეს შეიძლება ბევრისთვის შეურაცხყოფელი იყოს, მაგრამ იქნებ სჯობდეს, ამაზე დაფიქრდეთ, გავანალიზოთ ჩვენი რეალობა და მიუხედავად, რომ ამას ნორმალური ადამიანები არ სჩადიან... მაგრამ, რომ გავანალიზო, მუტანტი არ უნდა იყო.

იმედი მაქვს, რომ ადამიანი იმდენად ძლიერი, რომ ის აღიდგენს ჯანმრთელ მდგომარეობას, აქვს ბუნებას რეგენერაციის უნარი. თუმცა დღევანდელმა საბჭოთა ქართველმა ჯერ არ იცის, რა არის ჯანმრთელი საზოგადოების დნმ, იყო კი ასეთი, რატომ მოერია ასე მალე მუტაცია?..

- პირველი კითხვას განვითარებ, თუ შეიძლება. შენი თემაა ომი. რა კავშირია ომსა და ხელოვნებას შორის. არის თუ არა ისინი შენთვის იგივეობა. თუ ასეა, რა იგივეობაა ის.

- ისე აღმოჩნდა, რომ, რაც გამიკეთებია, ცუდად თუ კარგად, მართლა უმეტესობა ომს ენება, ალბათ, იმიტომ, რომ, ბანალურად ვიტყვი, ომების ეპოქაში გავიზარდე. ომსა და ხელოვნებას შორის კავშირი? ახლაც შეიძლება ბანალურად ვთქვა - ორივე ხომ ბრძოლაა. ისე, ცოტა ირონიული დამოკიდებულება მაქვს ამ ფრაზის მიმართ - ისეთი, ჩაქირქილება რომ მინდებო. ასე პირდაპირ ტოლობის ნიშნის დასმა მიჭირს, მაგრამ, ალბათ, საერთო არის სხვადასხვა პოლუსების, უარყოფითის და დადებითის შეჯახების კოლიზია. რა თქმა უნდა, არის უამრავი ექსპერიმენტი, როცა ავტორები ცდილობენ შეცვალონ კანონები ხელოვნებაში: ლიტერატურაში, კინოში, თეატრში, მუსიკაში, მხატვრობაში, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც სადაც კონფლიქტია, ყველას იქით გაუბის ყურადღება.

ომი კი მხოლოდ იმიტომაცა ჩემი თემა, რომ, აი, პირველი კითხვის პასუხადაც ვთქვი მგო-

ნი, უბრალოდ რაღაცნაირ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მოგყვებ ამ გაუთავებელ კონფლიქტზე, რომელიც ჩვენს გარშემოა აშუამად და ამდენ ტკივილს იწვევს. ჯერ ვერ მოვიცალე სხვა რაღაცის მოსაყოლად, მაქვს კი სხვა მოსაყოლი?

- როგორც მწერალს გეკითხები, - რა მიზანია მშვიდობა? არ ვკითხულობ სამართლებრივი და ჰუმანისტური თვალსაზრისით. ვკითხულობ შინაგანი ცხოვრების თვალსაზრისით.

- ახლა მე ვკითხულობ დრამატურგიას უნივერსიტეტის კოლეჯში, დრამატურგიის ძირითადი რესურსი არის ისევე და ისევე კონფლიქტი - კონფლიქტი ადამიანებს შორის, კონფლიქტი მოვლენასა და ადამიანს შორის, კონფლიქტი გარემოსა და ადამიანს შორის.

ამ კონფლიქტის გამო უყურებს, უსმენს, კითხულობს ადამიანი ნამსუშევარს. კონფლიქტის გარეშე მისთვის უინტერესოა ყველაფერი.

მე ერთი დიდი ფუფუნება მაქვს, სახლში მყავს ერთ-ერთი საუკეთესო დრამატურგი - ჩემი ძმა, ირაკლი, როცა რაღაცას ვაკითხებ, საოცარი უნარი აქვს ეს კონფლიქტი დაინახოს, ორ ენიზოდს ადგილს გამოუცვლის და ყველაფერს ამძაფრებს... არა და ცხოვრებაშიც ეგრეა, მთავარია, დაპირისპირებული ძალები აღმოჩნდნენ ერთმანეთის ახლოს. ისე, ცალ-ცალკე შესაძლოა აბსოლუტურად უკონფლიქტური იყვნენ ეს ძალები.

ქუჩაში დაგვიდვარტო ყოველდღე. მაგალითად, სამსახურში, რუტინულად, მივდივართ ერთსა და იმავე დროს, ერთი ქუჩით. უაპრაზი ადამიანი ჩავვივლით გვერდით და არავინ გვახსოვს, მაგრამ თუ კი ქუჩაში რაიმე სახის კონფლიქტს წავაწყდით, მის მონაწილეებს კარგად ვიმახსოვრებთ, დეტალებით აღწერაც კი შეგვიძლია. რაც უფრო მძაფრია კონფლიქტი, მით უფრო კარგად გვახსოვრდება მისი მონაწილეები... ეს ნიშნავს, რომ ადამიანს მშვიდობა კი არა, კონფლიქტი აინტერესებს, მაგრამ პარადოქსული მიზეზის გამო, ადამიანს მშვიდობის მოთხოვნილება აქვს გამძაფრებული და აინტერესებს კონფლიქტი.

მოდით, კონფლიქტს გასართობი სახელი დავარქვათ, - თავგადასავალი. თითქოს იცვლება ხომ მნიშვნელობა? თავგადასავალი შეიძლება იყოს სასიყვარულოც, თუნდაც კონფლიქტებით სავსე და დამთავრდეს სიამოვნების განცდით და ბედნიერებით. თუმცა... და აი ეს „თუმცა“ არის ის, რაზეც წერენ, იღებენ, დგამენ... „თუმცა რეალობა არის სხვა“ - ვამ-

ბობთ და ამ რეალობასაც ჩვენ ვეძებთ, ან ვამბობთ.

ჩემთვის მშვიდობა არის მიზანი, რომლისკენაც მივისწრაფვით. რელიგიური სწავლებების მიხედვით, თუ სიმშვიდე გვინდა, ღმერთი უნდა ეძიო. ეს, „სხვა თარგმანში“, ალბათ, ნიშნავს ძალას და სრულყოფილებას ან სრულყოფილების ძალას. მაგრამ ამ მიზნისთვის საეჭვო გზებს გავდივართ ხოლმე. ამიტომაც ვერ ვაღწევთ რეალურ მშვიდობას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ერთი კონკრეტული ადამიანის სულიერი წონასწორობა. ეს გვიჩვენს მარადიულ სევდას, რაც მერე ბელოვნების შექმნისთვის საუკეთესო მასალაა. ამ მასალას ცეცხლსასროლი იარაღებით ყველაზე სადა და დახვეწილი დიზაინი აქვს და ყველაზე ტრაგიკულ ემოციებს იწვევს. არ ვხუმრობ. უბრალოდ, ასე ვფიქრობ.

- იყო დრო, როცა მწერლები სამყაროს იდეალური პერსპექტივიდან ხატავდნენ და თან ისე, რომ ამის გამო მათ ვერ დავეუნებებთ რეალიზმის ნაკლებობას. მერე რეალურის პერსპექტივიდან ქმნიდნენ ხელოვნებას და აი, აქ „მოტყევა ხელოვნებას ფრთები“. როგორ ფიქრობ, რა სურს თანამედროვე ადამიანს ლიტერატურისგან, მე ვგულისხმობ თანამედროვეს ფენომენალურად და არა სტატისტიკურად.

უფრო ცხადად რომ ვთქვა: ხელოვნება მოითხოვს მოცემულობას, რომელშიც დახანება, შეჩერება ფიზიკურად არის შესაძლებელი. იგი საჭიროებს რაღაც სტატიკურ გარანტს, რომელიც აღარ არის, შეუძლებელია იყოს. მუდმივად აჩქარებულ დროში, რომელსაც ტექნოლოგიური წამშობი მართავს, რეალურად არ რჩება დრო გამოცდილების შენახვისათვის. ხელოვნება ეს გამოცდილებაა, მაგრამ ეს გამოცდილება სულ უფრო და უფრო ძნელდება: ის დაბადების თანავე ქრება (ეს არ ეხება მხოლოდ ხელოვნებას, ვგულისხმობ ადამიანს, როგორც განცდილებას, იქნება ეს ბელოვანი თუ მისი მომხმარებელი). აი, ამ მოცემულობაში ხომ არ უწევს ხელოვანს იყოს ანაქრონული, ან იყოს თანამედროვე ხელოვნების არსის მიმართ და ხელი აიღოს წერაზე, კმნაზე. ვფიქრობ, ფანტასტიკის ჟანრის მომძლავრება, არა მარტო ლიტერატურის, არამედ ცხოვრების კულტურული ჩიხის, დასასრულის ერთგვარი რეზულტატია, რომელშიც არის, ერთი მხრივ, რაღაც პრეისტორიულიცა და პოსტ-პოსტისტორიულიც. მგონია, ამ ჩიხის ანარეკლს შენი რომანიც ატარებს,

რადგან გამოიყურება როგორც მომხდარის, არსებული მავიური გამოძახილი.

- დრო ან დროის დინება არ არსებობს, ჩემთვის. დროის დინება თუ იმით განისაზღვრება, რომ ტექნოლოგიურად განვითარდა ყოფა, ეს არ არის დროის სვლის კრიტერიუმი. თუ დროის სვლას კალენდარზე ფურცლების ხევის დაგვარქმევთ, შევთადრებდეთ, რომ ეს არის დროს სვლის მხოლოდ ადამიანის მოგონილი ილუსტრაცია, უფრო თავის მოტყუება... თუ ერთი ადამიანის დაბერებიდან განესაზღვრავთ დროის ცვლილებას, ეს ერთი ინდივიდის პრობლემაა: ის ერთი ინდივიდი შენუხდა, რომ გარეგნობა შეეცვალა ან ვეღარ გააჩნეს შვილს, ან სულაც ლოგინად ჩავარდა ასაკის (დროის) გამო... მაგრამ გლობალური სიცოცხლისთვის ხომ არაფერი განსაკუთრებული ხდება - ერთი კვდება, ახალი იბადება და ამიტომ არანაირად არ ასახავს დროის ცვლილებას. იმას, რომ გლობალურად დრო არ არსებობს, კიდევ უფრო ადასტურებს ხელოვნება. მაგალითად, ადამიანური კალენდრით სადღაც 30000 წლის წინ დაუსტავთ ცნობილი ნახატები ალტამირის მღვიმეში და ამას პეტროგლიფებს ვუნოდებთ, თუ კარგად მხსნავს. არა და ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელმაც მოგვეყვა ნადირობის სცენა. დღესაც ამ „ნადირობით“ ირჩენს თავს ადამიანი და იმ მხატვარმა ამით თქვა, რომ დრო არ არსებობს... გლობალური კანონზომიერებისთვის ხომ მნიშვნელობა არ აქვს, რა მოინადირო მაშინ ადამიანმა ან თუნდაც ვინ დასატა ეს ნახატი... ის არ დახატავდა, სხვა დახატავს. თუ დასაწერიოა, მე არ დავწერ, სხვა დაწერს. დროის განსაზღვრება მოიგონა ადამიანმა, რომელსაც ეგოისტურად ენანება, რომ კვდება... რელიგიები ცდილობენ, რომ ამ სინანულში იმედი მისცენ ადამიანს. თუმცა, ამ რელიგიებს ჩემთვის არაფერი საერთო არ აქვს დასაბამიერ სიტყვასთან... ზოდა, რაც უფრო ენანება ადამიანს, რომ კვდება, იმდენს გბლაუჭება დროს, რომ უფრო მეტ, პირდაპირი გაგებით სიკვდილს იწვევს და ის სევდა და სინანულიც იზრდება. რაც უფრო იზრდება ის სევდა, კიდევ უფრო გბლაუჭება და იკეტება წრე... ჩემთვის ხელოვნება ეს არის ამ სევდის გაქარწყლება...

- აქცევს თუ არა ლიტერატურას ლიტერატურაში თეოთხველი? თუ აქცევს, მაშინ რაშია მისი (ლიტერატურის) თეოთხველი. თუ არ აქცევს, მაშინ რაშია მისი (მკითხველის) ფუნქცია?

- მე მგონი, ეს ერთი და იგივე რამეა, ლიტერატურა და მკითხველი ერთარსია, ერთმა-

ნეთის თავისთავად არსებული შიკარხი, რომელსაც ან ვიღაც წერს, ან ვიღაც კითხულობს... არც დანიშნულება და არც თვითნებობა არ სჭირდება ლიტერატურას.

- რა შეუძლია ლიტერატურას?

- მაშაშემი კარგი მექანიზატორი და აგრონომი იყო, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი. საქმის კარგად გასაკეთებლად უამრავ სპეციალურ ლიტერატურას იყენებდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ძალიან კარგ უნარებს ფლობდა. ნაკითხვის დროს უცებ არკვევდა, რომელი ტექსტი იყო ნაკლებად მჭიდვების დაწერილი და რომელი - მართლაც პროფესიონალიზმის. ძალიან უხაროდა ხოლმე, რომ თავისი საქმიანობის დასახევნად რაიმე საინტერესოს აღმოაჩენდა. მაგალითად, რაიმე მცენარეული კულტურის მოყვანისას, ეძებდა წიგნს შესაბამისი ინფორმაციით, რომ ნაკლები დანახარჯებით მოეყვანა უფრო ხარისხიანი და უფრო ბევრი პროდუქტი. ეძებდა ინფორმაციას, რა შეცდომა შეჰქონდა დაშვებული, რომ აღარ დაეშვა, ან სხვები რა შეცდომებს უშვებდნენ, ეძებდა ახალ მეთოდებს, მისთვის უცნობ შესაძლებლობებს, პოულობდა, წერკვლიდა, ავითარებდა და მიზანსაც აღწევდა. მოკლე, კარგი ლიტერატურის კარგი მკითხველი იყო, რითაც მცირე რესურსების ბარჯვით იღებდა მაღალხარისხიან პროდუქტს და გვიუმჯობესებდა ცხოვრებას.

ყველა საზოგადოების შექმნილ პროდუქტს ეტყობა თავისი ლიტერატურა და თავისი მკითხველიც.


- ამ, არც თუ მშვიდობიან აზრთან და ვასრულოთ დიალოგი, მაგრამ ეს კარგია, რადგან ეს ის გამოწვებისია, როცა მშვიდობას იმი სჯობს. მკითხველსა და ლიტერატურას შორის მშვიდობა აღსასრულია ორივესთვის. აღსასრულია ლიტერატურისთვის უკვდავების აზრით: ვისაც ეს „განაჩენი“ ერგო, სწორედ ამის გამო „დაიხიცნენ“, და აღსასრულია ღირებულებებითი მნიშვნელობით, რადგან ეს კონიუქტურულ ზავს ნიშნავს. კონიუქტურა კი მკრეხლობაა ლიტერატურისა და მკითხველის აუცილებელ ომში.

მადლობა!

- მადლობა შენ, იმიტომ, რომ ლიტერატურაზე ასეთ კონტექსტში საუბარი არც ისე ხშირია და ლიტერატურული ენდორფინის გამოუმუშავებას ემსახურება... და რადგან ლიტერატურა ცხოვრებაა, ესე იგი სიცოცხლის ენდორფინიც გამოუმუშავდება, მადლობა. ლიტერატურული ენდორფინი კაია!

იკითხე საუკეთესო


იპატონო
პალტრა




განახლებული
გამოსცა




სიახლე



სიახლე



სიახლე



სიახლე



პალიტრა L
გამომცემლობა





დიდი
ოდისეა

„დიდი ოდისეა“ სერია „ლიტერატურული ოდისეის“ ნაწილია, რომელიც ვრცელ ნაწარმოებებს აერთიანებს. „დიდი ოდისეის“ ფარგლებში უკვე გამოცემულია 8 წიგნი, რომლებსაც მსოფლიოში უკვე კარგად იცნობენ და უმეტესობა ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა.

სულაკაური გამომცემლობა

2-20.



2

გარდაგინათ ფასდაკლების ვაუჩერი „სულაკაურის წიგნის მაღაზიის“ და მიიღეთ 20%-იანი ფასდაკლება „დიდი ოდისეის“ სერიის წიგნებზე.



სულაკაურის
წიგნის მაღაზია

www.sulakauri.ge
(+995) 32 291 11 65

„სულაკაურის წიგნის მაღაზიის“ მისამართები:

- „გლდანი მოლი“, 6 სართული
- „სითი მოლი საბურთალო“, 1-ლი სართული
- ჭავჭავაძის გამზირი №15
- ცინცაძის ქუჩა №2
- „გალერია თბილისი“, -1 სართული
- „ისტ ფონიტი“, მთავარი მოედანი

გამოყენების ვადა: 31.08.2021